# აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკეობით

№25 (25.153) 5 ივლისი, 2024 წ. 50 თეთრი


### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 27-32, მთიან რაიონებში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 25 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

## თორნიკე რიჟვაძე აბიტურიენტებს წარმატებებს უსურვებს

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებას ეხმაურება და აბიტურიენტებს წარმატებებს უსურვებს. თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, ახალგაზრდების ხელშეწყობა, განათლების ხელმისაწვდომობა და თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის შექმნა მთავრობისთვის მომავალშიც პრიორიტეტული იქნება*

„ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო. ძვირფასო აბიტურიენტებო, წარმატებას გისურვებთ ცხოვრების ამ საპასუხისმგებლო ეტაპზე. მჯერა თქვენი ნიჭიერების, პროგრესულობის, მიზანდასახულობის. თქვენი წარმატება და პროფესიული განვითარება მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ისე თქვენი მომავლისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს სათქმელს იტყვით ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში. კვლავ გავაგრძელებთ ახალგაზრდების ხელშეწყობას, განათლების ხელმისაწვდომობასა და თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის შექმნას. გგულშემატკივრობთ და გისურვებთ წარმატებას“, - აცხადებს თორნიკე რიჟვაძე.



## დღეს ბათუმში დიდი რაგბის დღეა

## ბექა გორგაძე: მოედანზე მოსაგებად გავდივართ

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო რაგბის ტესტების სერიის პირველ რკენას დღეს მართავს და მას ბათუმში „აჭარაბეთ არენა“ მასპინძლობს, „ბორჯღალოსნების“ პირველი მეტოქე ზაფხულის ტესტმატჩებში ფიჯის ნაკრები იქნება. ამჟამად ფიჯი მსოფლიო რეიტინგში მეთერთმეტე ადგილზეა, საქართველო კი მეცამეტე ადგილს იკავებს. გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენი გუნდი იაპონიას (მომავალ მეტოქეს) გადაასწრებს. აღსანიშნავია, რომ „აჭარაბეთ არენაზე“ „ბორჯღალოსნები“ მეორედ თამაშობენ. 2022 წელს პირველ თამაშში იტალიას ვუმასპინძლეთ და მოვუგეთ*

აქამდე ჩვენმა ნაკრებმა ფიჯისთან შვიდჯერ ითამაშა და მხოლოდ ერთხელ მოიგო, დანარჩენი ხუთი მატჩი კუნძულელების სასარგებლოდ დასრულდა, ერთი მატჩი ფრედ დამთავრდა.

ბოლოს საქართველო და ფიჯი ერთმანეთს გასულ წელს, მსოფლიო თასზე შეხვდნენ. ეს მატჩი ჩვენმა მოწინააღმდეგემ ანგარიშით - 17: 12 მოიგო.

აღსანიშნავია, რომ ამ შვიდი მატჩიდან ოთხი შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე გაიმართა. პირველად ფიჯის ნაკრებს საქართველო 2012 წელს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შეხვდა და სტუმრებმა ანგარიშით - 24:19 მოიგეს. რევანში 2016 წელს სუვაში შედგა - საქართველომ 14:3 გაიმარჯვა. 2018-2021 წლებში „ბორჯღალოსნები“ ფიჯის ზედიზედ ოთხჯერ ეთამაშნენ - სუვაში 15:37, 2019 წლის მსოფლიო თასზე, ოსაკაში (იაპონია) 10:45, 2020 წელს ედინბურგში - 24:38 და 2021 წელს არანხუესში (ესპანეთი) - 15:15.

გუშინ, დილით საქართველოს ნაკრებმა კაპიტნის ვარჯიში გამართა.

მედიასთან კომენტარები ჩვენი გუნდის კაპიტანმა და მთავარმა მწვრთნელმა გააკეთეს.

**ბექა გორგაძე, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი:**

- ჩემი აზრით, და ეს გუნდის საერთო აზრიცაა, ამ თამაშისთვის ნაკრები საკმაოდ კარგადაა მომზადებული. გვქონდა დრო, რომ თითოეული დეტალი, რაზეც უნდა გაგვემახვილებინა ყურადღება, გაგვეუმჯობესებინა, განსაკუთრებით, ერთა თასის შემდეგ. ვთვლი, რომ დღეს ნაკრები მზად არის ფიჯისთან სათამაშოდ, მოედანზე მოსაგებად გასასვლელად და ამას ხმამაღლა ვამბობთ. ბედნიერები ვართ, რომ ასეთი შანსი მალევე მოგვეცა მსოფლიოს ჩემპიონატის მერე, რადგან ყველამ კარგად იცის, რა მძიმე აღმოჩნდა ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც ფიჯისთან წაგება შარშანდელ მსოფლიოზე. ასე რომ, ყველა, თავად გუნდიდანაც და გულშემატკივრებიდანაც, საუკეთესოს მოელის. დღეს ქართული სპორტი ძალიან მაღალ დონეზეა ასული, ამას ჩვენც კარგად ვაანალიზებთ. ამიტომ შევეცდებით, მაქსიმალურად კარგი შედეგი ვაჩვენოთ. კარგად ვიცნობთ მოწინააღმდეგეს, ვიცით, რომ შეტევისას მუდამ საფრთხის ქვეშ ვიქნებით, მაგრამ ისიც ვიცით, რა უნდა დავუპირისპიროთ. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, თამაშისთვის მზად ვართ, დანარჩენს ხვალ ვნახავთ. გვინდა დასამახსოვრებელი გავხადოთ თამაში. გულშემატკივარს მოვუწოდებ, რაც შეიძლება მეტმა გვიქომაგოს, ჩვენ გვერდით დადგეს. ჩვენი მხრიდან შევეცდებით, მაქსიმალურად გავახაროთ ისინი და რაც შეიძლება მეტი ემოციის მიზეზი მივცეთ.

**რიჩარდ კოკერილი, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

- მართალია, რამდენიმე მოთამაშე ტრავმირებულია, მაგრამ ვფიქრობ, ხვალინდელი თამაშისთვის ოპტიმალური შემადგენლობა გვყავს. ჩვენ ვემზადებით მომავალი მსოფლიო თასისთვის. ვიცით, რომ ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ახალგაზრდა მოთამაშეა გუნდში, ისეთ ფორმაში ვართ, შეგვიძლია თამაში მოვიგოთ.

საქართველოს ნაკრები, ფიჯისთან შეხვედრის გარდა, ამ ზაფხულს კიდევ ორ ტესტმატჩს გამართავს - 13 ივლისს „ბორჯღალოსნები“ სენდაიში იაპონიის ნაკრებს შეხვდებიან, ხოლო 20 ივლისს სიდნეიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ავსტრალიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

ეს პრინციპული თამაში „აჭარაბეთ არენაზე“ 20 საათზე დაიწყება.

ვუგულშემატკივროთ ჩვენს „ბორჯღალოსნებს“ და წარმატება ვუსურვოთ!



ISSN 2720-8702


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.


დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# ფეხბურთელების საზეიმო დახვედრა, გახარებული მასწავლებლები და ეუთოს მკაცრი ტონი საქართველოსადმი

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

*2 ივლისს საქართველო ღირსეულად დახვდა ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებს, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებს, რომლებმაც, ისტორიაში პირველად, ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზეს და ჯგუფიდან გასვლის სიხარულიც მოგვანიჭეს. მსგავს დახვედრას მხოლოდ ჩემპიონებს უწყობენ და დიახ, ვფიქრობ, ისინი ჩვენთვის ჩემპიონები არიან, რასაც მთელი საქართველო ერთხმად აღნიშნავს*

საღამოს 9 საათზე ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები მიხეილ მესხის სახელობის სტადიონიდან თავისუფლების მოედნისკენ ღია ავტობუსით დაიძრნენ.

ისინი ჭავჭავაძე-მელიქიშვილი-რუსთაველის გამზირის გავლით გადაადგილდებოდნენ და გამამხნევებელი შეძახილებით გულშემატკივრები მიაცილებდნენ, გზადაგზა კი ავტობუსის მიმართულებით გასროლილ მაისურებსა და საქართველოს დროშებზე ავტოგრაფებს ტოვებდნენ და გულშემატკივრებს უკან უბრუნებდნენ. ფეხბურთელები თავისუფლების მოედანზე საბოლოოდ იმ გულშემატკივრებს შეუერთდნენ, რომლებიც სპეციალურად მათთან შესახვედრად, რამდენიმე საათით ადრე მივიდნენ. ზეიმი მართლაც ზეიმს ჰგავდა.

ფეხბურთელები ეროვნული ნაკრების სიამაყემ და ევროპის ჩემპიონატში გასასვლელი ბოლო გოლის ავტორმა ნიკა კვეკვესკირმა მოიწვია სცენაზე, სადაც ერთმანეთის მიმართ უდიდესი სითბო და სიყვარული იგრძნობოდა. აუცილებლად აღსანიშნია გიორგი

დნენ.

ქართველი გულშემატკივრების სიყვარულითა და მხარდაჭერით აღფრთოვანებული ფეხბურთელები ემოციებს ვერ მალავდნენ. გუნდის კაპიტან გურამ კაშიას თქმით, ნაკრები ქართველი გულშემატკივრის მხარდაჭერას ყოველთვის გრძნობს.

„თქვენს მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობთ და მინდა, ერთხმად, ყველამ შეძახილით ჩვენი ქვეყნის სახელი - „საქართველო“ დავიძახოთ. ჩვენთვის იყო ძალიან განსაკუთრებული რამდენიმე თვე. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთ გახარებულ ერს ვხედავ. მიხარია, რომ ასეთი ემოციები და სიამოვნება მოვიტანეთ თქვენთან. თქვენი დამსახურებაა ძალიან დიდი, თქვენ მოგვეცით თავდაჯერება და გვაჩუქეთ სიყვარული. ამისთვის ძალიან დიდი მადლობა, ეს არ უნდა იყოს რაღაცის დასასრული, ეს უნდა იყოს დასაწყისი. გაუმარჯოს საქართველოს“, - აღნიშნა გურამ კაშიამ.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ფეხბურთელებს მიესალმა, წარმატება მიულოცა და სცენიდან შეჰპირდა, რომ უფრო მეტად გაიზრდება ქართული ფეხბურთის მხარდაჭერა.

თუმცა, რა გასაკვირია და, ამ საზეიმო განწყობის დროსაც კი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დეზინფორმაცია და კრიტიკა არ დავიწყებია. ფეხბურთის კომენტატორს და საზეიმო ღონისძიების წამყვან დიმა ობოლაძეს მიზანმიმართულად, ფაქტების გადამოწმების გარეშე შეუტიეს. საზოგადოებას აჯერებდნენ, რომ ობოლაძემ ფეხბურთელ ბუ-



ლა სტატუსიან მასწავლებელს და სპეციალურ მასწავლებელს ხელფასი, საშუალოდ, 500 ლარით გაეზარდა.

დღეს სისტემაში დაახლოებით 52 000-ზე მეტი პედაგოგია და მათგან, საშუალოდ, 500 ლარით ხელფასი გაეზარდა 21 000-მდე მასწავლებელს, 600 ლარით - 8000-მდე, 700 ლარით - 5000 -მდე, 800 ლარით - 3000-მდე პედ-

ებლებს მოტივაცია მოემატათ და უფრო მეტ დაფასებას გრძნობენ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც საქართველოს სახელოვანი მომავალი თაობა უნდა გაუზარდონ და ბევრი რამ არის დამოკიდებული მათ პასუხისმგებლობაზე.

ახალი სახელფასო სისტემის მიხედვით, ანაზღაურება მასწავლებლის მიერ ჩატარებული საგაკვეთილო საათების რაოდენობით, სამუშაო სტაჟით, აკადემიური ხარისხითა და სტატუსით განისაზღვრა. რეფორმის მიზანი მასწავლებლებისთვის ღირსეული ანაზღაურება და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა.

ჩვენთან საუბარში ისტორიის მასწავლებელი ნინო მგალობლიშვილი ამბობს, რომ ეს ყველა მასწავლებლისთვის დიდი სიხარულია.

> „მასწავლებლებს უფრო მეტი სტიმული მოგვეცემა და ამასთანავე, ჩვენი შრომაც ფასდება. ძალისხმევას მოსწავლეებს არასდროს ვაკლებდით, მაგრამ ახლა ორმაგს გავაკეთებთ. 15 წელია, პედაგოგი ვარ და ასეთი მასშტაბური ხელფასის ზრდა არ ყოფილა. მინდა, მადლობა გადავუხადო განათლების სამინისტროს, - თქვა მან

მიქაუტაძისა და საბა ლობჟანიძის არყოფნა. როგორც ნიკა კვეკვესკირმა თქვა, მიქაუტაძესთან დაკავშირებით კარგი სიახლეა და ის ზეიმს ამიტომ ვერ ესწრებოდა.

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ფეხბურთის ეროვნული ნაკრების წევრები და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები ღირსების ორდენებით დააჯილდოვა. პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით, ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ნაკრების ის ფეხბურთელებიც, რომლებიც არ იყვნენ საკვალიფიკაციო მატჩების განაცხადში, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის განაცხადში მოხვ-

დუ ზივზივაძეს სცენაზე სიტყვით გამოსვლის უფლება არ მისცა. ყალბ ინფორმაციას მალევე გამოეხმაურა თავად ობოლაძე, მსგავსი ფაქტი უარყო ჯერ ბუდუ ზივზივაძის მამამ, შემდეგ კი ბოდიშის მოხდისკენ დეზინფორმაციის გამავრცელებლებს მოუწოდა თავად ბუდუ ზივზივაძემ.

პოზიტიურად გავაგრძელოთ. ივლისიდან ამოქმედდა მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ახალი პოლიტიკა და პედაგოგთა ანაზღაურება უპრეცედენტოდ გაიზარდა.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფორმაციით, ახალი პოლიტიკის თანახმად, საჯარო სკოლის ყვე-

აგოგს, რაც ჯამში მასწავლებელთა 70 პროცენტზე მეტს შეადგენს.

დაახლოებით, 25 პროცენტამდე მასწავლებელს ხელფასი 300-დან 400 ლარამდე გაეზარდა. აღსანიშნავია, რომ არცერთი მასწავლებელი არ დარჩება ანაზღაურების მომატების გარეშე - მინიმუმ, 200-ლარიანი მატება, მცირე საათობრივი დატვირთვის შემთხვევაშიც კი, შეეხება აბსოლუტურად ყველა პედაგოგს. ასეთია მასწავლებელთა დაახლოებით 5 პროცენტი. სულ 52 ათასამდე პედაგოგს მოემატა ხელფასი.

გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ მასწავლ-

- ნამდვილად სასიხარულო ინფორმაციაა, რადგან მასწავლებლებს უფრო მეტი სტიმული მოგვეცემა და ამასთანავე, ჩვენი შრომაც ფასდება. ძალისხმევას მოსწავლეებს არასდროს ვაკლებდით, მაგრამ ახლა ორმაგს გავაკეთებთ. 15 წელია, პედაგოგი ვარ და ასეთი მასშტაბური ხელფასის ზრდა არ ყოფილა. მინდა, მადლობა გადავუხადო განათლების სამინისტროს, - თქვა მან.

იხ. მე-3 გვ.

## ქრონიკა

ბათუმში საერთაშორისო ბრენდის „ibis Styles“ სასტუმრო გაიხსნა. გახსნის ცერემონიას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე ესწრებოდნენ. 121-ნომრიანი სასტუმრო სპორტული კონცეფციით შეიქმნა და თანამედროვე სტანდარტების სპორტული ინვენტარით აღიჭურვა. სასტუმროში 50 ადამიანი დასაქმდა. ibis Styles Batumi მსოფლიოში სტუმარმასპინძლობის სექტორში მოღვაწე კომპანია Accor -ის სასტუმროების ბრენდია. Accor-ის პორტფოლიო საქართველოში არაერთ უძრავ ქონებას და 15-ზე მეტ სასტუმროს მოიცავს.

* * *

რეგიონის ტურისტული პოტენციალის უკეთ გაცნობის მიზნით, აჭარას ჩინელი ინფლუენსერები და ჟურნალისტები ეწვივნენ. მედიატურის მონაწილეებს შორის იყო აჭარაში ჩაის კულტურის შემომტანის ლაო ჯინ ჯაოს შთამომავალიც. რეგიონის ძირითადი ტურისტული ღირსშესანიშნაობების მონახულების შემდეგ, მედიატურის მონაწილეებმა ჩაქვში ლაო ჯინ ჯაოს ყოფილი აგარაკი, ნობელებისა და ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმები დაათვალიერეს, სადაც ჯინ ჯაოს ნივთებია წარმოდგენილი. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მათ საშუალება ჰქონდათ, ლაო ჯინ ჯაოს ლანჩის იმიტაციას დასწრებოდნენ, სადაც ქართული ჩაისა და კერძების პრეზენტაცია გაიმართა. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, ჩაქვში მდებარე ლაო ჯინ ჯაოს სახლის რეაბილიტაციაა დაგეგმილი, რის შემდეგაც რეგიონს კიდევ ერთი ტურისტული ადგილი შეემატება.

* * *

„თუკი კონტენტის შექმნა, მოგზაურობა და ამბების გამომწერებისთვის გაზიარება გიყვარს, ეს პროექტი შენთვისაა“ - ამ სლოგანით, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით, შიდა ტურიზმის სტიმულირების კამპანია „გამომყევი აჭარაში“ წელსაც განხორციელდება. როგორც დეპარტამენტში აცხადებენ, მასში ჩართვა ქართველ ინფლუენსერებს, კონტენტკრეატორებს, ფოტოგრაფ-ვიდეოგრაფებსა და მოგზაურებს უკვე შეუძლიათ. „მონაწილეებს საშუალება ექნებათ, აგვისტოს ბოლომდე იმოგზაურონ აჭარაში, შექმნან და გამომწერებს გაუზიარონ საინტერესო კონტენტი და მოიგონ კამპანიის მთავარი პრიზები. კამპანიის მიზანი აჭარის, როგორც ოთხივე სეზონზე მიმზიდველი, მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულების პოპულარიზაცია და ქართველი ბლოგერ/ინფლუენსერების ჩართულობით შიდა ტურიზმის სტიმულირებაა,“ - ნათქვამია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. პირველ სამეულში მოხვედრილი ინფლუენსერები ფულად საჩუქართან ერთად, პრიზებსაც მიიღებენ. მთავარი პრიზი 100 000 ლარია, მეორე ადგილოსანი - 50 ათასს, მესამე - 30 ათასს, მეოთხე კი 20 ათას ლარს მიიღებს.

* * *

პირველ სალაშქრო ფესტივალს აჭარა 23-28 ივლისს უმასპინძლებს. ფესტივალი „ზღვიდან მთამდე“ წელს პირველად აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით ტარდება. უწყების ცნობით, ფესტივალში მონაწილეობა შეუძლიათ გამოცდილ მოლაშქრეებს. „45-კილომეტრიანი საფეხმავლო მარშრუტი მთლიანად ალპურ ზონაში გადის და აჭარის ორ მაღალმთიან მუნიციპალიტეტს - ხულოსა და შუახევს აერთიანებს. ფესტივალის მონაწილეებმა ოთხი დღის განმავლობაში პროფესიონალი მოლაშქრე-გიდების თანხლებით ფეხით უნდა გაიარონ ჩირუხი-ხიხანი-შუამთის ტბები, ბეშუმი-გოდერძი-ალპური ბოტანიკური ბაღი. თითოეულ მათგანს თან უნდა ჰქონდეს სალაშქრო აღჭურვილობა, კარავი, საძილე ტომარა და ლაშქრობისთვის საჭირო ყველა სხვა ატრიბუტი. ფესტივალის ფარგლებში, ოთხივე დღის განმავლობაში, თითოეული მოლაშქრე უზრუნველყოფილი იქნება საბანაკე კვებით: დილით - ინდივიდუალური ლანჩბოქსებით, ლანჩზე - პროტეინბარითა და ელექტროლიტებიანი წყლებით, საღამოს - საგანგებოდ შედგენილი მენიუს მიხედვით მომზადებული ვახშმით“, - ნათქვამია დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

დაბა შუახევის სტადიონმა რაგბის საგაზაფხულო ფესტივალს უმასპინძლა, რომელშიც აჭარის ოთხი მუნიციპალიტეტის: შუახევის, ხელვაჩაურის, ბათუმისა და ქობულეთის 10 გუნდი მონაწილეობდა. ფესტივალზე 2013-2014 წლებში დაბადებული სპორტსმენები ასპარეზობდნენ. ღონისძიება რაგბის კვირეულის ფარგლებში, საქართველო-ფიჯის ნაკრები გუნდების სატესტო შეხვედრის ფარგლებში მოეწყო, რომლის მიზანი მოზარდებში რაგბის პოპულარიზაცია და ხელშეწყობაა.წარმატებული გუნდები შუახევის მერმა ომარ ტაკიძემ, საქართველოს რაგბის კავშირის რეგიონულმა ხელმძღვანელმა გაიოზ მონიავამ, აჭარის სარაგბო კავშირის პრეზიდენტმა ილია ვერძაძემ და აჭარის რაგბის კავშირის წევრმა გელა ქობულაძემ დააჯილდოვეს.

* * *

წელს ქვეყნის მასშტაბით ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 47 ათას აბიტურიენტზე მეტია რეგისტრირებული. 24 საგამოცდო ცენტრს შორისაა ხულოს საგამოცდო ცენტრი, სადაც 136 აბიტურიენტია დარეგისტრირებული. ცენტრი ხულოს საჯარო სკოლის შენობაშია განთავსებული. პირველ გამოცდაზე აბიტურიენტთა რეგისტრაცია დილის 8 საათიდან დაიწყო. როგორც ხულოს რესურსცენტრის უფროსმა რამაზ გელაძემ გვითხრა, „პირველი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში დროულად დაიწყო და ინსტრუქციის დაცვით მიმდინარეობდა. პირველი დღის პირველ ნაკადზე 26 აბიტურიენტიდან ერთი არ გამოცხადდა“. პირველი გამოცდის პირველი ნაკადის დაწყებამდე ცენტრში იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე და ხულოს მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი რამაზ გელაძე. ხულოს საგამოცდო ცენტრში გამოცდების მიმდინარეობას შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრიდან მოვლინებული ნათია მალხაზიშვილი და ადგილობრივი არკადი ართმელაძე აკვირდებიან.

მოამზადა
ხატია იაშვილი

# რა მიზნებს ემსახურება ღიად გაცხადებული ანტიდასავლური მითები?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*„რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დარეგულირება კვლავ პრობლემად რჩება, ამის მიზეზი რუსეთის აგრესია უკრაინისადმი და კრემლისეული პროპაგანდაა, რომელიც დროთა განმავლობაში მეტამორფოზას განიცდის“, - აცხადებს დასავლელი ანალიტიკოსი რამის იუნუსი და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მთავრობებს ამ მხრივ ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობის ანტიდასავლური რიტორიკა საგრძნობი გახდება, რაც, გარკვეულწილად, თვალსაჩინოა პოსტსაბჭოთა სივრცეში*

ახალს არაფერს ვიტყვი თუ აღვნიშნავ, რომ დასავლური საზოგადოება გარკვეულია ყალბი, პროპაგანდისტული ინფორმაციების რაობაში, მათ იოლად ვერ მოატყუებ, მაგრამ ეს იარაღი ჯერჯერობით ჭრის პოსტსაბჭოთა სივრცეში. სამწუხაროდ, ყველას არ აქვს გააზრებული, როგორ შეიძლება ავნოს რუსულმა პროპაგანდამ საქართველოს. ამას ემატება მოსახლეობის ნაწილის სკეპტიციზმი დასავლეთისადმი, მიზეზები - მცოცავი ოკუპაცია, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების ხანგრძლივი მოლოდინი და სხვა. სწორედ ამ მიმართებით აქტიურობს რუსული პროპაგანდისტული მანქანა. საყურადღებოა პოლიტოლოგ გელა ირემაძის მოსაზრება: „რუსული პროპაგანდის ამოცანა სიმართლის გარკვევა კი არ არის, არამედ პოლიტიკურ მიზანს ემსახურება, ეს მიზანია საქართველოში პრორუსული დისკურსის გაძლიერება, ანუ ევროპული ფასეულობების ნიველირება, - თითქოს ევროპა გარყვნილია, რუსეთი კი ერთმორწმუნე, რაც ძალზე მცდარი შეხედულებაა. რუსეთთან თითქმის სამასწლოვანი ისტორია გვასწავლის, რომ იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობას ებრძვის. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთისგან განსხვავებით, დასავლეთი არაფრის უარყოფას არ გვთხოვს, თუმცა, როგორც ცნობილია, რუსული პროპაგანდა მეტამორფოზას განიცდის, ანუ კი არ ადიდებს რუსეთის პოლიტიკას სხვადასხვა სახელმწიფოსთან მიმართებით, არამედ დაკავებულია დასავლეთის კრიტიკით“, - ამბობს პოლიტოლოგი. ანალოგიური შეხედულებისაა საჯარო მმართველობის დოქტორი და ბსუ-ის ლექტორი გიგა ფარტენაძე:



„თვალნათლივ ვხედავთ, რომ როცა ნატოსა და ევროკავშირში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ, კრემლი ყოველთვის გადადის ძალისმიერ მეთოდებზე. 2008 წლის აგვისტოს ომი ამის მაგალითია. ეს ომი იმიტომ მოხდა, რომ ჩვენს ქვეყანას მაპი არ მიეღო. სხვათა შორის, კრემლი თავად აპიარებს იმ მოსაზრებას, რომ ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში საქართველოს არ მიიღებენ. არადა, დღეს მსოფლიოში ნატოსა და ევროკავშირზე დემოკრატიული გაერთიანება არ არსებობს. რაც შეეხება რუსული პროპაგანდის ცვლილებებს, დამოკიდებულია მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე, ისინი ამძაფრებენ პროპაგანდას საჭიროების მიხედვით, აქ საუბარია არა კონკრეტულ ნაბიჯებზე, მაგალითად, დეოკუპაციაზე, არამედ, უბრალოდ, გვეუბნებიან, რომ საქართველო უნდა იყოს რუსეთთან ერთად, გარდა ამისა, ამახინჯებენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, რასაც შორსმიმავალი მიზანი აქვს. წესით და რიგით, კრემლს ჩვენთვის არ უნდა ეცალოს, უკრაინაში გაუხანგრძლივდა ომი, ძირითადი ბრძოლები დონეცკის და ხარკოვის რეგიონებში მიმდინარეობს. არადა, ორი წლის წინ, ანუ 2022 წლის თებერვალში, მოსკოვი მთელი უკრაინის დაპყრობას ლამობდა... კრემლი ფიასკოს არ იმჩნევს და ახალი საბჭოთა კავშირის შექმნას აანონსებს. სხვათა შორის, რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა (შემდეგ წაშალა), რომელშიც ღიადაა გაცხადებული იმპერიული ხედვა. იგი წერს, რომ როგორც კი კიევს და მცირე რუსეთს (სამხრეთ უკრაინა) დაიკავებენ, საბჭოთა კავშირის აღდგენის პროექტი დაიწყება. როგორც ჩანს, კრემლს აღარ ადარდებს დასავლეთის და, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა ქვეყნების აზრი. მისი მიზანი სხვადასხვა მოსახლეობის დაშინებაცაა, ანუ თუ არ დაემორჩილებიან მოსკოვს, უკრაინის ბედს გაიზიარებენ. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, კრემლისეული პროპაგანდა თანმიმდევრულად აანონსებს მოსაზრებას, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში არ მიიღებენ და ავრცელებს მითებს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, კერძოდ, იმას, რომ საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება, ვიდრე ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა არ მოგვარდება და თითქოს ევროპა ქართულ ტრადიციებს ებრძვის.

***„კრემლი ფიასკოს არ იმჩნევს და ახალი საბჭოთა კავშირის შექმნას აანონსებს. სხვათა შორის, რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა (შემდეგ წაშალა), რომელშიც ღიადაა გაცხადებული იმპერიული ხედვა. იგი წერს, რომ როგორც კი კიევს და მცირე რუსეთს (სამხრეთ უკრაინა) დაიკავებენ, საბჭოთა კავშირის აღდგენის პროექტი დაიწყება***

განვიხილოთ ეს მითები:

ექსპერტთა თქმით, ნატოს არცერთ სამართლებრივ დოკუმენტში არ არის მითითებული, რომ ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიები ხელს შეუშლის ნატოში გაწევრიანებას. ერთადერთი დოკუმენტი, სადაც ნატოში გაწევრიანებისთვის აუცილებელ წესზეა საუბარი, ალიანსის დაფუძნებული წესდების ეგრეთ წოდებული ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლია, ამ მუხლის მიხედვით, ნატოს წევრ ქვეყნებს შეუძლიათ, მიიწვიონ ალიანსში ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში. ამ კრიტერიუმებით საქართველოს შეუძლია გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების, ანუ ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით. რაც შეეხება ჩვენი ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას, ამ მითს რუსეთი ყველაზე ინტენსიურად იყენებს პოსტსაბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ, უნდა ვაღიაროთ, რომ ძალიან ხშირად ვსაუბრობთ ევროპულ ღირებულებებზე, ფასეულობებზე, მაგრამ კონკრეტულად რას ნიშნავს ეს, წარმოდგენა თითქმის არ გვაქვს. ამაში, სამწუხაროდ, ვცოდავთ ჩვენც და სცოდავენ თავად ევროპელებიც, რადგან უფრო მეტი მუშაობაა საჭირო, რათა დავინახოთ ევროპული ფასეულობებისა და ღირებულებების განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოების განვითარებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტ გიორგი კობერიძის მოსაზრება: „ცალსახად უნდა ითქვას, ევროპა არ ებრძვის ქართულ ტრადიციებს, უბრალოდ, ცდილობს აგვიხსნას, რომ საზოგადოებაში არსებობს უმცირესობები, რომელთაც ისეთივე პატივისცემა სჭირდება, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეებს... ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა ევროპული კურსის მომხრეა და მომავალს იმედიანად შეჰყურებს, ამიტომ ევროპულ გზაზე რომ წარმატებით გავიდეთ, დიდი ძალისხმევა, ხელისუფლების თანმიმდევრული პოლიტიკა და გონიერებაა საჭირო, ასევე, საზოგადოების ერთსულოვნება დასავლურ კურსთან მიმართებით, რომ რუსულმა პროპაგანდამ თავის მიზანს ვერ მიაღწიოს საქართველოში“.

დიახ, ხელისუფლება მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს საქართველოს განვითარებას ყველა სფეროში მაღალი სტანდარტების შესაბამისად, რადგან ნატოსა და ევროკავშირში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების საკითხი რომ დადგება, ვერავინ დააფიქსიროს შენიშვნები, არავის უნდა მივცეთ უარის თქმის საბაბი.

# ფეხბურთელების საზეიმო დახვედრა, გახარებული მასწავლებლები და ეუთოს მკაცრი ტონი საქართველოსადმი

მე-2 გვერდიდან

ამ კვირაში ერთ-ერთ განსახილველ თემად იქცა ეუთოს შესწორებული რეზოლუცია, სადაც საქართველოზეცაა საუბარი. ბუქარესტში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 31-ე ყოველწლიურ სესიაზე მიიღეს რეზოლუცია სახელწოდებით: „ეუთოს როლი მიმდინარე უსაფრთხოების არქიტექტურაში: საპარლამენტო პერსპექტივა“, სადაც ერთ-ერთი მთავარი აქცენტი საქრთველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ოკუპაციაზე კეთდება.

აღნიშნულ საკითხზე განცხადება გაავრცელა პარტია „ქართულმა ოცნებამ" და აღნიშნა, რომ ფორმულირება, რომელიც დაემატა პარაგრაფს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ, არის ზუსტად ის, რის მიღწევასაც რუსეთი ჟენევის მოლაპარაკებებში ბოლო 16 წლის განმავლობაში ცდილობს წარმოაჩინოს, თითქოს რუსეთი არ არის კონფლიქტის მხარე. მმართველი გუნდის უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია იმან, რომ რეზოლუციაში წერია „თბილისის მიერ კონტროლირებული საქართველოს, აფხაზეთის და ოსეთის შერიგება საჭიროა“.



მმართველი გუნდი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გათვალისწინებითაც, რომ ეუთო ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეა და შეერთებული შტატები, რომლის წარმომადგენლები შესწორების ავტორები არიან, ჟენევის ფორმატის წევრი და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია.

„პარაგრაფში ვკითხულობთ, რომ კონფლიქტში სამი მხარეა - უცნაური კონსტრუქციაა თბილისის მიერ კონტროლირებული საქართველო - აფხაზეთი და ოსეთი. შესწორება ასევე გულისხმობს იმასაც, რომ რუსეთი კონფლიქტის მოგვარებას სხვადასხვა არხით ცდილობს, რაც ასევე დეზინფორმაციაა და ჟენევის ფორმატის ფარგლებში რუსულ დესტრუქციულ ქცევას იცავს. ეს ყველაფერი სერიოზულად შემაშფოთებელია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეუთო არის ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარე და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის წარმომადგენლები შესწორების ავტორები არიან, არის ჟენევის ფორმატის წევრი და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი. რეზოლუციაში ამ ფორმულირების შეტანა ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს და ეუთოსა და აშშ-ის გაცხადებულ პოლიტიკას. საქართველოს ინიციატივა, ტერიტორიების ოკუპაცია კიდევ ერთ შესწორებაში შეეტანათ, სადაც საუბარია რუსეთის მავნე ქმედებებზე, სამწუხაროდ, უარყოფილ იქნა და რეზოლუციაში ის არ გაითვალისწინეს“, - ვკითხულობთ „ქართული ოცნების“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რეზოლუციას გამოეხმაურა პარტია „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი გურამ მაჭარაშვილიც.

„ეუთოს საპარლამენტო ანსამბლეაზე მივიღეთ ამერიკელების მხრიდან პროექტის ცვლილება, რომელიც რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს და პირდაპირ ამბობს, რომ თურმე რუსეთის ინტერესში შედის საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხების მოგვარება. შესაბამისად, ჩვენ ასეთი ტიპის რეზოლუციისთვის მხარი არ უნდა დაგვეჭირა. რეზოლუციაში არის პუნქტები, რომლებშიც პირდაპირაა ნათქვამი, რომ რუსეთი თურმე მშვიდობისმყოფელია და რომ ცალკე არის მოსახსენებელი აფხაზეთი და სამაჩაბლო“, - აღნიშნა გურამ მაჭარაშვილმა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეუთოს რეზოლუციაში, გარდა ოკუპაციისა, ხაზგასმითაა გაკრიტიკებული ხელისუფლების ბოლოდროინდელი პოლიტიკა და „აგენტების შესახებ“ კანონის მიღება.

როგორც „ქართულ ოცნებაში“ აღნიშნავენ, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების შელახვის გამო საქართველოს დელეგაციამ საბოლოო რეზოლუციას ხმა არ მისცა.

აღიშნული საკითხი განიხილეს ოპოზიციაშიც. ოპოზიციის წევრები ამბობენ, რომ მმართველმა გუნდმა მხოლოდ ოკუპაციის საკითხზე გაამახვილა ყურადღება და დანარჩენი საკითხები, რაც რეზოლუციაში წერია, მათთვის მნიშვნელოვანი არ არის.

„ქართული ოცნებისთვის“ მნიშვნელოვანი არ არის არც დეოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობა ან საქართველოდან რუსული ჯარის გასვლა, რაშიც რეზოლუციაშიც არის საუბარი, არამედ მათთვის მნიშვნელოვანია ჩანაწერი 25-ე პარაგრაფში, რომელშიც პირდაპირ წერია, რომ ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებთან ახორციელებს რუსულ ჰიბრიდულ ომს. ეს არის სინამდვილეში ის, რის გამოც ამ რეზოლუციას მათ მხარი არ დაუჭირეს, დანარჩენი ყველაფერი კი არის იაფფასიანი პროპაგანდა“, - აღნიშნა პარტია „სტარატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა მანჯგალაძემ.

იმ სიხარულის ფონზე, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მერვედფინალში გადასვლით მოგვანიჭა, ისღა დაგვრჩენია, ერთად დაველოდოთ ჩვენს ქვეყანაში მოვლენების კვლავ პოზიტიურად განვითარებას.

# მომავალი, რომელსაც ავირჩევთ...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*რამდენიმე თვეში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება და ცხადია, მოსახლეობის არჩევანიც გაცხადდება. უდავოა, რომ პოლიტიკური მოზაიკა ქვეყანაში ბევრწილად დამოკიდებულია ხელისუფლებისა და ოპოზიციის ქმედებებზე, ანუ რამდენად საზოგადოებაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს მიიღებენ, ამას მოჰყვება საზოგადოების შესაბამისი რეაქციაც. საარჩევნო მარათონი, პრაქტიკულად, დაწყებულია. ოპოზიციურ ფლანგზე გარკვეული გადაადგილებებია, ყალიბდება სხვადასხვა პლატფორმა, რასაც ემატება მძაფრი კრიტიკა ხელისუფლების მიმართ. ამჯერად მიზეზი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონია. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით დასავლეთის კრიტიკამაც იმატა, მმართველი პარტია კი აცხადებს, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება და არჩევნებში გამარჯვებაც გარდაუვალია*

*როგორ წარიმართება პოლიტიკური პროცესები? რას უნდა ველოდოთ მმართველი გუნდისა და ოპოზიციისგან? რამდენად მნიშვნელოვანია წლევანდელი არჩევნები საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით? - ამ კითხვებზე „სტრატეგია აღმაშენებლის" აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი* **ლუკა ფუტკარაძე** *გვპასუხობს.*

**- რჩევების მიცემის მხრივ, ოპოზიციური სპექტრის არგუმენტები და შენიშვნები რამდენად დამაჯერებელია?**

- ვფიქრობ, ოპოზიციის არგუმენტები, თუნდაც რუსულ კანონთან და მისი მიღების შედეგებთან დაკავშირებით, სრულიად რეალური აღმოჩნდა. დასანქცირდნენ ხელისუფლების მაღალჩინოსნები, ქვეყნის ეკონომიკა დამძიმდა, გაიზარდა ევროპისა და ამერიკის მკაცრი რიტორიკა, ასევე - ფასები. ეს აისახა ეროვნულ ვალუტაზე და ცუდად იმოქმედებს მოსახლეობაზეც.

**- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოპოზიცია ოქტომბრის არჩევნებში დამარცხდება, რადგან მოსახლეობა ხედავს, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება.**

- თუ განვითარებაში ხელისუფლება გულისხმობს წყლის სისტემის გრაფიკით მიწოდებას, ავარიულ შენობებს, ჩაბეტონებულ ბათუმს და კორუფციულ გარიგებებს სამშენებლო ბიზნესში, რუსი მოსახლეობის ბიზნესებს საქართველოს დიდ ქალაქებში, ასევე, მათ მიერ გადაკეტილ გზას ევროპასთან, რაც პირდაპირ აისახება ტურიზმსა და ინვესტიციების შემოსვლაზე ქვეყანაში, დიახ, ეს მათთვის ალბათ წინსვლაა რუსეთისკენ, მაგრამ გადახვევაა ჩვენი ისტორიულად



ევროპული გზიდან. ამ ყველაფრის მერე თუ ხელისუფლება ფიქრობს ოქტომბერში ოპოზიციის მარტივად დამარცხებაზე, ეს მხოლოდ საკუთარი თავის დარწმუნებაა, მოსახლეობამ უკვე მკაფიოდ დაინახა ხელისუფლების სახე.

***„ვფიქრობ, უფრო გამძაფრდება დასავლეთის რიტორიკა, რადგან ხელისუფლება გადავიდა რუსული სისტემის გადარჩენაზე, რაც ცუდად მოქმედებს მოსახლეობის მომავალსა და ქვეყნის ევროინტეგრაციაზე. მოსალოდნელია უკუსვლა კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით და უვიზო მიმოსვლის გადახედვაც. ჩემი აზრით, დასავლეთი დაელოდება ოქტომბრის არჩევნებს და ქართველი მოსახლეობის არჩევანს - რუსეთი თუ განვითარება და წინსვლა. პასუხი მარტივია და ეს პასუხი ოქტომბერში უნდა დაფიქსირდეს***

**- ექსპერტები აცხადებენ, რომ დასავლეთის კრიტიკა ხელისუფლებისადმი მატულობს, საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობები ამ მხრივ თუ არ დალაგდა, რა ელის ჩვენს ქვეყანას?**

- ვფიქრობ, უფრო გამძაფრდება დასავლეთის რიტორიკა, რადგან ხელისუფლება გადავიდა რუსული სისტემის გადარჩენაზე, რაც ცუდად მოქმედებს მოსახლეობის მომავალსა და ქვეყნის ევროინტეგრაციაზე. მოსალოდნელია უკუსვლა კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით და უვიზო მიმოსვლის გადახედვაც. ჩემი აზრით, დასავლეთი დაელოდება ოქტომბრის არჩევნებს და ქართველი მოსახლეობის არჩევანს - რუსეთი თუ განვითარება და წინსვლა. პასუხი მარტივია და ეს პასუხი ოქტომბერში უნდა დაფიქსირდეს.

**- აშკარაა, რომ ქვეყანა საარჩევნო რეჟიმში გადავიდა. ამის თქმის საფუძველს ხელისუფლების და ოპოზიციის გააქტიურება იძლევა...**

- „ნაციონალური მოძრაობა" და „სტრატეგია აღმაშენებელი" უკვე აქტიურად არიან ჩართული საარჩევნო პროცესში, მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო „ლელომ" და „ახალმაც", რაც უკვე მიგვითითებს საარჩევნო კამპანიის დაწყებაზე, რაც მნიშვნელოვანია, რადგან წელს ყველას უნდა მივაწვდინოთ ხმა, რომ ქვეყნის ევროპული მომავალი საფრთხეშია.

**- როგორც გავიგე, თქვენი ლიდერი გიორგი ვაშაძე ამას წინათ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა...**

- უმაღლესი რანგის პოლიტიკოსები თვალყურს ადევნებენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და სრულ მხარდაჭერას უცხადებენ პროტესტში მონაწილე ადამიანებს. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბრის თემა სანქციები იყო. ბრიტანეთი ნამდვილად აპირებს მსჯელობას იმაზე, შეუერთდნენ თუ არა სასანქციო პოლიტიკას, რადგან მათთვის მკაფიოა ქართველი ხალხის არჩევანი და ისიც, რომ „ქართულმა ოცნებამ" ცივი ომი გამოუცხადა დასავლელ პარტნიორებს და ევროპულ ინტეგრაციას.

**- ჯერჯერობით არ შედგა დიდი ოპოზიციური გაერთიანება. რა არის ამის მიზეზი?**

- ალბათ ოპოზიციის დიდი გაერთიანება არ მოხდება, რადგან ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი არჩევანი. ოქტომბერში, სავარაუდოდ, იქნება რამდენიმე ცენტრი, ასე შესაძლებელი იქნება დიდი ძალებით ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა.

**- იკვეთება ოთხი ოპოზიციური ცენტრი: „ქართული ოცნება", „ნაცმოძრაობა"-„სტრატეგია აღმაშენებელი", „საქართველოსთვის" და „ქარტიის" გარშემო გაერთიანებული პარტიები. აქედან ვის რა შანსი აქვს არჩევნებში?**

- ვფიქრობ, ჯერ არ არის ყველა ცენტრი ჩამოყალიბებული, გარდა „ნაცმოძრაობა"-„სტრატეგია აღმაშენებლისა", ველოდები „ახალისა" და „ლელოს" გაერთიანებას, ცალკეა გახარიას პარტია „საქართველოსთვის", ხოლო დანარჩენი მცირე პარტიები ალბათ „ქარტიის" გარშემო გაერთიანდებიან.

**- პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ მმართველმა პარტიამ შესაძლოა, მეტი ხმა აიღოს, ვიდრე წინა არჩევნებზე...**

- ამ განცხადების მთავარი სათქმელი ალბათ ის არის, რომ ხელისუფლება ემზადება ტოტალური გაყალბებისთვის, რადგან რუსულ კანონთან დაკავშირებით აქციაზე გამოსული მოსახლეობის რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, არ ჩანს ხელისუფლებისთვის ხმათა უმრავლესობის მოპოვების შანსები.

**- ოპოზიციურ პარტიებს რამდენად ზუსტად აქვთ შემუშავებული პროგრამები სახელმწიფოს განვითარების კუთხით და ამ მხრივ თქვენი პლატფორმა რას სთავაზობს მოსახლეობას?**

- ჩვენ პლატფორმის თანამშრომლობის პერიოდში შევიმუშავეთ ყველა სახის პროგრამა და ამ პროგრამების პრეზენტაციებიც გვქონდა სატელევიზიო ეთერებში, სადაც ნაწილი ამ პროგრომებისა წარმოდგენილია როგორც ლიდერების, ისე ექსპერტებისა და ახალგაზრდების მიერ.

**- რამდენად მოსალოდნელია კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება და როგორ წარმოგიდგენიათ თუნდაც გახარიას პარტიასთან თანამშრომლობა?**

- კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება ამ ქვეყნის განვითარების ერთადერთი გზაა, რადგან ორჯერ ვნახეთ ერთმმართველობის შედეგები ქვეყანაში. შესაბამისად, საქართველოც უნდა გადავიდეს ევროპული მართვის სტილზე. რაც შეეხება გახარიას პარტიას, თანამშრომლობა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მაგრამ გახარიამ უნდა გასცეს იმ კითხვებს პასუხი, რომლებიც მისი მისამართით ისმის.

**- როგორი იქნება ძალთა გადანაწილება მომავალ პარლამენტში?**

- მოსალოდნელია, რომ პარლამენტში უმრავლესობა არცერთ პარტიას ჰქონდეს, ხოლო ძალთა ბალანსის გადანაწილების ბერკეტი მოსახლეობის ხელშია და ქართველი ერი გადაწყვეტს, რომელი პარტიის ხედვაა მასთან ახლოს.

**- დაბოლოს, ჩვენი ქვეყანა და უკრაინა დიდად არიან დამოკიდებული დასავლეთის მხარდაჭერაზე. რა გავლენა ექნება უკრაინის ომს საქართველოს მომავალზე?**

- უკრაინის ბრძოლას დღეს ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რადგან მისი დახმარებით შესაძლებელია საერთო მტრის დამარცხება და საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი საბჭოური აზროვნების საბოლოოდ შეცვლა.

**აქტუალური თემა**

# საცობები ქალაქში – უცვლელი პრობლემა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

*წლებია, სატრანსპორტო კოლაფსი - კილომეტრიანი საცობები ზღვისპირა ქალაქის შემოსასვლელსა და ცენტრალურ ქუჩებზე აღარავის უკვირს*

ამ რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც თამარის დასახლებასთან მანქანებიდან გადმოსული მგზავრები ფეხით, სირბილით გადაადგილდებიან ტროტუარზე, რათა მატარებელს მიუსწრონ. „ეს ჩვენი ყოველდღიურობაა," - ამბობს ნინო ბერიძე, რომელსაც, შაბათ-კვირის გარდა, ყოველდღე უწევს ამ გზის გავლა.

- წლებია, ამ გზას ყოველდღიურად გავდივარ. წარმოიდგინეთ, 6 საათზე რომ სამსახურს დაამთავრებ და სახლში 9 საათამდე ვერ მიხვალ! ეს მართლაც დიდი პრობლემაა. რა გახდა ერთი ნორმალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობა?! ავდარში უარესი სიტუაციაა. აქ პიკის საათი არ არსებობს, საღამოს სულ კატასტროფული მდგომარეობაა. მესმის, ტურისტული სეზონია, ჩვენს ქალაქს ბევრი ადამიანი სტუმრობს, მაგრამ წლის ნებისმიერ დროს რომ ასეთი მდგომარეობაა, ამაზე ხომ უნდა დაფიქრდეს ის ადამიანი ან უწყება, ვისაც ეს ევალება?! ეს პრობლემა ქალაქის შემოსასვლელთან მდინარე ყოროლისწყლის ხიდის რეაბილიტაციის შემდეგ დავიწროებამ გამოიწვია - იქ ორი მანქანა ერთმანეთს ძლივს უვლის გვერდს. არ უნდათ ამის დაჯერება, რადგან ხიდის რეაბილიტაციისთვის მილიონობით ლარი დახარჯეს, არადა, ეს რეალობაა. აუცილებლად უნდა მოხერხდეს ალტერნატიული გზის ან ამ საცობებისთვის თავის ასარიდებლად რაიმე საშუალების მოძებნა, - გვითხრა ნინო ბერიძემ.





მოსახლეობის იმ აზრს, რომ ეს ხიდი სტანდარტებს არ შეესაბამება, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში აბსურდულს უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ ხიდი სრულად შეესაბამება საგზაო ინფრასტრუქტურის სტანდარტს. უწყებაში აღნიშნავენ, რომ საცობები საზაფხულო სეზონის დროს დიდ მგზავრთნაკადს უკავშირდება.

ბათუმის მერიაშიც საცობების არსებობას, მოძრაობის გადატვირთვას პირდაპირ უკავშირებენ ტურისტების რაოდენობის ზრდას. ქალაქის მერ არჩილ ჩიქოვანის თქმით, პარკირების სივრცეების მოსაწყობად და გზებზე ალტერნატიული გადაადგილების საშუალებების დასამატებლად, შესაბამისი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ქალაქში ქვეითებსაც ექმნებათ პრობლემები. თითქმის ყველა ცენტრალურ ნაწილში „ზებრა" გადასასვლელებზე, ტროტუარზეც კი, ავტომანქანებია დაპარკინგებული, გადაადგილება ჭირს და ხშირად მოსახლეობას საავტომობილო გზაზე უწევს სიარული, რაც სახიფათოა. ჩვენთან საუბარში მანანა ზოიძემ აღნიშნა, რომ ამ მხრივ პუშკინის ქუჩა ყველაზე „მოწინავეა".

- სამსახურის გამო ყოველ საღამოს პუშკინის ქუჩაზე მიწევს ფეხით სიარული. აქ თითქმის ყველა ქუჩის კვეთასთან 2 რესტორანია. არც ერთს საკუთარი საპარკინგე ადგილი არ აქვს. სტუმრებს მანქანა ტროტუარზე ან პირდაპირ „ზებრაზე" უყენიათ. იცით ალბათ, „სასწრაფოს" შენობის გვერდით კორპუსს დიდი ჭიშკარი აქვს, რომელიც პირდაპირ ტროტუარისკენ იღება. იქ მანქანებია გაჩერებული და 50 მეტრის გავლა საავტომობილო გზაზე მიწევს. ვიცი, ჯარიმები იწერება, მაგრამ ეს აშკარად არაა საკმარისი. რაღაც სხვა სანქციებია მოსაფიქრებელი, - გვითხრა მანანა ზოიძემ.

აღსანიშნავია, რომ მანქანის არასათანადო ადგილზე გაჩერების შემთხვევაში, რეაგირება შპს „ბათუმის ავტოპარკინგის" მოვალეობაა.

# მსგავს სპექტაკლს დიდ სცენაზეც სიამოვნებით ვნახავდით

*რა გასაკვირია და, მერაბ ლებანიძის მიერ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დრამისა და კინოს სამსახიობო ფაკულტეტის მეოთხეკურსელებთან დადგმული სადიპლომო სპექტაკლი „ტესტი“ ძალიან ჰგავს თავად რეჟისორს - ისეთივე მაქსიმალიზმი, რეალობის ისეთივე ტკივილიანი განცდა და მომთხოვნელობა იგრძნობა აქ მთავარი პერსონაჟის, ანუ იმათ მიმართ, ვისაც ადამიანობის პრეტენზია აქვს, როგორიც თავად მერაბ ლებანიძეს ახასიათებს*

საინფორმაციო ბუკლეტში ვკითხულობთ, რომ სპექტაკლი აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელის“ მიხედვით დაიდგა და სათქმელით თუ ვიმსჯელებთ, ეს მართლაც ასეა, თუმცა სიუჟეტი, უდავოდ, რაზუმოვსკაიას პიესით - „ძვირფასო ელენა მასწავლებელო“ („Дорогая Елена Васильевна“) არის ნაკარნახევი. ეს დრამატურგიული ნაწარმოები უკვე მეორედ აძლევს მერაბ ლებანიძეს შთაგონებას, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება, გულისტკივილი რეალობასთან დაკავშირებით. იგი მოზარდების გულქვაობასა და ცხოვრების იოლად მოწყობის სურვილზეა და რეჟისორი მერაბ ლებანიძე იყენებს მათი ასეთად მქცევი საზოგადოების გაკრიტიკების შესაძლებლობას.

პირველად სწორედ ამ პიესის მიხედვით დადგა მან სპექტაკლი თეატრალურ სტუდია „ტიპ-ტოპის“ ძალებით, რომელიც მოზარდების მონაწილეობითაც კი საკმაოდ მძაფრად მოქმედებდა პუბლიკაზე. იმდენად გამწარებდა მოზარდების დაუნდობლობა, იმ გულუბრყვილო მაყურებელს ემსგავსებოდი, პერსონაჟს და მსახიობს ერთმანეთისგან რომ ვერ ანსხვავებს და ტაშის დასაკრავადაც კი არ გიბრუნდებოდა ხელი... მაშინ მერაბ ლებანიძემ აღნიშნა კიდეც, რომ სწორედ ასეთი ძლიერი ზემოქმედება ჰქონდა ჩაფიქრებული. აკი გამოუვიდა კიდეც.

ჩვენი თანამედროვე ყოფისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების ამსახველი დეტალებით შეუვსია და ურთულესი სათქმელის თქმა სწორედ იმ ასაკის ახალგაზრდებისთვის მიუნდია, რომლებიც ბავშვები - აღარ, მაგრამ ცხოვრების დასაწყისში ნამდვილად არიან.

სპექტაკლის სიუჟეტის მიხედვით სკოლის უფროსკლასელები მასწავლებელს დაბადების დღესთან დაკავშირებით სიურპრიზს უწყობენ, რომელსაც თავიდან აზრადაც არ მოსვლია, რომ მოზარდების „სიურპრიზი“ ბრჭყალებში ჩასასმელი გახდებოდა. აღმოჩნდება, რომ ტორტიცა და ქალაქგარეთ - ტყეში გასეირნებაც მათი გეგმის ნაწილი იყო, რომელიც ერთი მიზნის მისაღწევად შეიმუშავეს - როგორმე აღმზრდელი იზოლაციაში მოექციათ და სასკოლო ტესტის პასუხები ან ნებით გამოეტყუებინათ, ან ძალითაც კი წაერთმიათ. არც მასწავლებლის უარმა, არც მისმა აღშფოთებამ, განრისხებამაც კი უკან დახევა არც აფიქრებინა მის აღსაზრდელებს,



ჩაიდენს, ხელოვნურად აბსტრაქტული სათქმელის ჩამატება კი არა, სიუჟეტური სვლაა - მოსწავლეები ყველაზე მძლავრ იარაღს გამოიყენებენ - ამ სცენის გათამაშებით პირდაპირ ბრალს სდებენ აღმზრდელს, რომ მათი სულიერი სიმახინჯე მასწავლებლის დიდი მარცხია, რომ ეს ცინიზმით, სარკაზმით, დაუნდობლობით ტკბილი ცხოვრებისთვის შეიარაღებული მოზარდები, მისი ქმნილებები არიან... და მასწავლებელი, ჰაჯი-უსუბის მსგავსად, იღებს ამ პასუხისმგებლობას...

მართალია, ფინალი, ცოტა არ იყოს, ნაძალადევია, მაგრამ მაინც ზემოქმედებს მაყურებელზე, რომელიც საკუთარ თავზე იღებს (თუ, რა თქმა უნდა, ჩაიხედავს საკუთარ სულში) სპექტაკლში გამოხატულ ბრალდებას და ეს იყო სწორედ რეჟისორის მიზანი. ფინალი ასეთია: მასწავლებელი პატარა სადისტების „რბილი ზეწოლის“ შემდეგ, უბრალოდ, გაქრება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ სრულიად აუტანელმა ამბავმა გული გაუხეთქა, რის

მიკურად ვითარდება, რიტმი არ ირღვევა, მაყურებელი ბოლო წამამდე ჩართულია მოქმედებაში, მათ შორის ინტერაქტიულადაც. სცენაზე მიმდინარე მოვლენები გაფიქრებს და საკუთარ თავში ჩაღრმავებისკენაც გიბიძგებს. მართალია, კათარზისამდე ვერ მიჰყავხარ, მაგრამ ვერ დავივიწყებთ, რომ ეს სტუდენტური სპექტაკლია და იმაზე ბევრად მეტიც შეძლო, ვიდრე არაერთ სპექტაკლში გვინახავს პროფესიონალი მსახიობების შესრულებით, რაც, უდავოდ, რეჟისორ მერაბ ლებანიძის დამსახურებაა, რომელიც ყოველთვის მტკივნეულ თემებს გვთავაზობს და ჩვენ ირგვლივ არსებული არასახარბიელო რეალობის მიზეზებს თავადაც ეძებს და ჩვენც გვაძებნინებს...

აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებასაც, რომ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მეოთხეკურსელები შესანიშნავად ართმევენ თავს რეჟისორის ჩანაფიქრს. ამ ბანალურ ფრაზაში არაფერია გადაჭარბებული. ახალგაზრდა მსახიობები უმარტივესი დეკორაციის, ყოველგვარი დამხმარე ეფექტების გარეშე, ძალდაუტანებლად და დამაჯერებლად ქმნიან მცდარი ფასეულობებით გზააბნეულ მოსწავლეთა განსხვავებულ ხასიათებს. რასაკვირველია, აუცილებლად უნდა გამოვყოთ მთავარი როლის შემსრულებელი ტამანგო ჯღერია, რომელსაც ურთულესი მისია დაეკისრა - ისე უნდა ეთამაშა თავისი თანატოლების გონებადამჯდარი აღმზრდელი, რომ ტრაგიზმამდე ამაღლებულიყო. ამ მიზნისკენ ისეთი საცალფეხო ბილიკი მიემართებოდა, ნებისმიერ ადგილას შეიძლება გადაჩეხილიყო. საბედნიეროდ, ტამანგო არსად გადაჩეხილა, მან ბოლომდე გაიყვანა მაყურებელი, დაგვაფიქრა ისეთ თემაზე, რაზეც ყოველდღიურ მარათონში საფიქრალად ვერ ვიცლით... მის საქებრად მინდა ვთქვა, რომ არც მანერულობისკენ, არც სიყალბისკენ ფეხი არ დაცდენია, რაც შეეხება ტრაგიზმს, ეს ის სიმაღლეა, რისკენაც ეს ნიჭიერი ახალგაზრდა გაბედულად მიდის და აუცილებლად მივა ამ თუ სხვა როლებით საკმაოდ ახლო მომავალში.

> *მოსწავლეები ყველაზე მძლავრ იარაღს გამოიყენებენ - ამ სცენის გათამაშებით პირდაპირ ბრალს სდებენ აღმზრდელს, რომ მათი სულიერი სიმახინჯე მასწავლებლის დიდი მარცხია, რომ ეს ცინიზმით, სარკაზმით, დაუნდობლობით ტკბილი ცხოვრებისთვის შეიარაღებული მოზარდები, მისი ქმნილებები არიან... და მასწავლებელი, ჰაჯი-უსუბის მსგავსად, იღებს ამ პასუხისმგებლობას...*

რაც შეეხება სპექტაკლს, რომელიც ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების მონაწილეობით ვნახეთ, აქ რეჟისორმა სათქმელს მეტი დატვირთვა მისცა, უფრო მასშტაბური გახადა, ერთგვარ ბრალდებადაც აქცია და განაჩენიც გამოუტანა მასწავლებელს, რომელიც, ჩემი აზრით, საზოგადოების კრებითი სახეა სპექტაკლში, საზოგადოების, რომლის ვალია, მომავალი თაობის არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ და მორალურ აღზრდაზე იფიქროს. რადაც უნდა დაუჯდეს, ეს უნდა შეძლოს, თორემ გადაშენების გზას დაადგება. სწორედ ამ გზაზე ხედავს რეჟისორი დღეს ქართულ (შეიძლება - მსოფლიოსისაც) საზოგადოებას და მოსაფხიზლებლად, მაყურებლის შესაწუხებელ-შესაჯანჯღარებლად გაუერთიანებია რამდენიმე ნაწარმოები, ზედ თავისი დიალოგებიც დაუმატებია,

უფრო მეტიც, სახელდახელოდ შანტაჟიც კი მოუწყვეს იქვე სმარტფონით ჩაწერილი ვიდეოს გამოქვეყნების მუქარით.

რეჟისორმა გადაწყვიტა, აღმზრდელისთვის, რომელიც ამ სპექტაკლში მამაკაცია, ყმაწვილების სულიერი სიმახინჯის ტვირთიც აეკიდებინა და იმ სულიერ სიმაღლემდე და სიმტკიცემდეც აეყვანა, როგორიც აკაკი წერეთლის პოემიდან („გამზრდელი“) ჰაჯი-უსუბს ახასიათებს. სცენას ამ პოემიდან ბავშვები სწორედ მაშინ გაითამაშებენ, როცა სხვა ველარაფრით ზემოქმედებენ მასწავლებლის ურყევ ნებაზე, აიტანოს და გადაიტანოს მის აღსაზრდელთა ცინიზმი, მუქარა, ძალადობა და კვლავ საკუთარი პრინციპების ერთგული დარჩეს. ჩემი აზრით, სპექტაკლში „გამზრდელიდან“ იმ სცენის ჩართვა, სადაც ჰაჯი-უსუბის აღზრდილი საფარ ბეგი საშინელ ძალადობას

შედეგადაც მოსწავლეები შესაბამის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ხვდებიან და მასწავლებლის დიდაქტიკურ შეგონებებს იხსენებენ, სინანულიან მოგონებებს მისცემიან, თუმცა გარეთაა მათი დანაშაულის სულისჩამდგმელი, მთავარი პერსონაჟი, რომელიც კვლავ ცინიზმითაა სავსე და თანატოლებს მიმართავს ფრაზით, რომელიც მაყურებლისთვის უფროა განკუთვნილი: - რა გეგონათ, მამაჩემი დაუშვებდა, რომ თქვენსავით ციხეში აღმოვჩენილიყავი?! სცენის სიღრმიდან, მუსიკითა და განათებით შექმნილ მისტიკურ ატმოსფეროში გამოჩნდება მასწავლებელი, რომლის მონოლოგის ბოლოს ისმის ჰაჯი-უსუბის შუაზე გაწყვეტილი ფრაზა (ალბათ ბანალურობისთვის თავის ასარიდებლად) „გამზრდელიდან“: „დამნაშავე მე ვარ მხოლოდ“...

სპექტაკლში მოთხრობილი ამბავი დინა-

სპექტაკლში განსაკუთრებულად ჩანს კახაბერ ბრეგაძე, რომელიც პატარა სადისტების ლიდერს თამაშობს. მისი გმირი შესაშური სილაღითა და სიმსუბუქით ცდილობს, მასწავლებლის მოთაფვლა-დათრგუნვა-დაშინების ოპერაცია წარმატებით დააგვირგვინოს.

სპექტაკლის ყველა მონაწილე (ტამანგო ჯღერია, შაკა კვარაცხელია, კახაბერ ბრეგაძე, ნიკუშა აბულაძე, მარიამ შამავა, დავით მამრიკიშვილი), უდავოდ, მზადაა დიდ სცენაზე გასასვლელად. მართალია, პროფესიონალიზმისკენ მიმავალი გზა ჯერ მხოლოდ იწყება, მაგრამ ეს სპექტაკლი იმედს გვაძლევს, რომ იგი უთუოდ ზეაღმავალია.

კარგია, რომ ესოდენ ზნეობრივი ხედვის მქონე რეჟისორის სპექტაკლებს, დრამატულ თეატრში თუ ვერა, ახალგაზრდა, ნიჭიერი სტუდენტების შესრულებით დროდადრო მაინც ვნახულობთ ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში.

**მარინა მითაიშვილი**

# რომელ წიგნებზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა ბათუმში?

**ხატია იაშვილი 555 18 48 88**

***ყველა კარგი წიგნი ჩვენში რაღაცას ტოვებს. ეს არის წიგნის მთავარი ღირებულება, მთავარი თვისება, რის გამოც უყვართ და ემეგობრებიან. წიგნი გვასწავლის ცხოვრებას, და ჩვენც, უბრალო ადამიანების მაგალითზე, ვცდილობთ გავიგოთ მეტი, მივბაძოთ გმირებს, არ გავიმეოროთ მათი შეცდომები, ვისწავლოთ ცხოვრება, თავისი სიხარულით, სევდით, ტკივილით, განშორებით, მეგობრობით, სიყვარულით***

ინტერნეტსივრცეში წიგნის კითხვა ისევ აქტუალურია, მოსახლეობის დიდი ნაწილი ელოდება ახალი ბესტსელერის გამოქვეყნებას. როგორც „ბიბლუს გალერის“ კონსულტანტი ნათია დუმბაძე გვეუბნება, მათ მაღაზიაში არის ბესტსელერის თარო, სადაც ყოველთვე იდება ის წიგნები, რომლებზეც მეტი მოთხოვნაა. „სასიხარულოა ის ფაქტი, რომ წიგნებზე დიდი მოთხოვნაა. ამ ეტაპზე ყველაზე მეტად იყიდება ბიზნესლიტერატურა და ნორმან ვინსენტ პილის „პოზიტიური აზროვნების ძალა“. კარგა ხანია ეს წიგნები ჩვენი ბესტსელერის თაროზე ლიდერობენ. საუკეთესო ათეულშია აგათა კრისტის „ერთი, ორი, მოფრინდა ქორი“, ეს ახალი თარგმანია, თამთა გელაშვილის - „შაშვი, შაშვი მაყვალი“, თემურ ბაბლუანის - „მზე, მთავარე და პურის ყანა“, მარგარეტ ეტმუდის - „მხევლის წიგნი“, რობერტ გრინის - „ძალაუფლების 48 კანონი“, ჯორჯ ორუელის - „1984“, ჯემალ ქარჩხაძის - „ზებულონი“, დავით ტურაშვილის - „ჯინსების თაობა“, ნინო ხარატიშვილის - „მერვე სიცოცხლე“, „უკმარისი სინათლე“ და „კატა და გენერალი“. ბესტსელერის ათეულში სულ ეს წიგნები ლიდერობენ ადგილმონაცვლეობით, - ამბობს ნათია დუმბაძე.

„ბიბლუს გალერის“ საბავშვო ბესტსელერის თაროზე პირველობას თვეებია არ თმობს ანტუან დე



სენტ-ეგზიუპერის „პატარა პრინცი“, იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები, ხმოვანი ჟოზე, დეივ პილკის „დოგმენი“, მსოფლიო დროშები და ზღაპრები.

- გაყიდვაში გვაქვს ქართულად ნათარგმნი კომიქსები და მანგები. ახალგაზრდები ასევე ყიდულობენ მასაში კიშიმოტოს „ნარუტოს“ და მსგავსი ჟანრის წიგნებს და ენციკლოპედიებს. სასიხარულოა, რომ ყველა თაობის მომხმარებელი გვყავს, მაგრამ უფრო საშუალო ასაკის ადამიანები გვსტუმრობენ. ახალგაზრდები ბიზნესლიტერატურას ეტანებიან, დღეს ეს წიგნები ყველაზე მეტად იყიდება. ავტორებთან შეხვედრასაც ვისურვებდით, მაგრამ ბათუმის ფილიალში ეს ფუფუნება არ გვაქვს, მხოლოდ საბავშვო მწერლებს ვხვდებით, ისიც იშვიათად. თბილისში კი ასეთი საღამოები ხშირია, - გვითხრა „ბიბლუს გალერის“ კონსულტანტმა ნათია დუმბაძემ.

# სკოლის დირექტორის ხედვა – ქვეყანასა და მშობლიურ სოფელში მიმდინარე პროცესებზე

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***თემურ დავითაძე** შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბის მკვიდრია. იგი უნარიანად ხელმძღვანელობს მშობლიური სოფლის საჯარო სკოლას. წარმატებით გაიარა ის პროგრამა, რომელიც საფუძველს აძლევს, კვლავ გააგრძელოს მუშაობა დირექტორის პოზიციაზე. სკოლის ხელმძღვანელი, სერტიფიცირებული მასწავლებელი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე, მთის, სოფლის მომავალზე თავის შეხედულებებს გვიზიარებს*

- პირველ რიგში, ვამაყობ, რომ ვარ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პოეტ შოთა ზოიძის თანასოფლელი და წუთისოფლიდან ნაადრევად წასული, 12 წიგნის ავტორის, მწერალ ზურაბ ზოიძის თანაკლასელი. ბიძაძმისშვილი სოფელს მზრუნველობას არ აკლებდა. სოფელი, თანამედროვენი მათ შემოქმედებას, თანადგომას სათანადოდ ვაფასებთ. საინტერესო ღონისძიებებიც მივუძღვენით.

**- წელს ქუთაისელი პოეტი მერაბ კვიცარიძე გყავდათ მოწვეული სკოლაში...**

- მისი მოწვევა პედაგოგ მალვინა ზოიძის დამსახურებაა. ბატონ მერაბთან საქმიანმა შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჩვენი სკოლის პედაგოგი მალვინა ზოიძე სასკოლო კლუბების შექმნის ინიციატორია, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება ზოგადი უნარების ჩამოყალიბებაში.

**- 20 წელზე მეტია, სკოლას ხელმძღვანელობთ.**

- ჩემმა წინამორბედმა ზურაბ უსტიაშვილმა კარგი მემკვიდრეობა დამიტოვა. მეც ვცდილობ, დანატოვარი გავამდიდრო და გავამრავალფეროვნო. დამოუკიდებელი საქართველოს სინამდვილეში, ახალდაბის საჯარო სკოლის შენობა ორჯერ აიგო. პირველის ინიციატორი ბატონი შოთა ზოიძე იყო. სოფელი არც ასლან სმირბას თანადგომას ივიწყებს. დღეს არსებული სკოლა ჩემი დირექტორად მუშაობის წლებში აიგო. ახლანდელი შენობა აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რასაც ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები სკოლისა და მასწავლებლების წინაშე აყენებს. მიმდებარედ ღია ტიპის სპორტული მოედანი მოვაწყვეთ. ადამიანი ბრმა ან ლოკოკინის მსგავსად, ნიჟარაში უნდა იყოს შემძვრალი, რომ ვერ დაინახოს ის სასიკეთო ძვრები, რაც სოფელ ახალდაბაშია. განა მარტო ჩვენთან? სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გზების, სარწყავი არხების, სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება უპირველეს საქმედაა მიჩნეული.



*„ ადამიანი ბრმა ან ლოკოკინის მსგავსად, ნიჟარაში უნდა იყოს შემძვრალი, რომ ვერ დაინახოს ის სასიკეთო ძვრები, რაც სოფელ ახალდაბაშია. განა მარტო ჩვენთან? სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გზების, სარწყავი არხების, სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება უპირველეს საქმედაა მიჩნეული*

**- ქვეყნის ეკონომიკა უკვე იძლევა ამის საფუძველს...**

- ქვეყნის ეკონომიკა წინა საუკუნის 80-იან წლებშიც კარგი იყო, მაგრამ მთის სოფლისთვის ნაკლებად ზრუნავდნენ. ახალდაბის დაარსების დღიდან 120-კომლიან სოფელში სასმელი და სარწყავი წყლის დეფიციტი იყო. მილიონ ლარამდე დაიხარჯა ხევაღელიდან ლითონის მილებით სასმელი წყლის გამოყვანისთვის. 9,5-კილომეტრიანმა წყალსადენმა სასმელი წყლის პრობლემა მოხსნა. საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი ცეკვა-ვარჯანაულის სარწყავი არხის დანიშნულება. შარშან არხის დაზიანებული მონაკვეთი შეკეთდა. იმედი გვაქვს, რომ გვალვიან ზაფხულში ახალდაბელი ფერმერების სახნავ-სათესები მოირწყვება. 15 წელზე მეტი ხნის წინ, შუახევიჰესის მშენებლობისთვის მოძრაობა დაიწყო. ამ უნიკალური ნაგებობის სადაწნეო გვირაბი და გამშვები სადგური ახალდაბის ტერიტორიაზეა. როცა ქვეყნის მაშინდელმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა გამშვები სადგურის ტერიტორიაზე მშენებლობის დაწყების ნიშნად კაფსულა ჩადო, ბევრს არ სჯეროდა, რომ საუკუნის პროექტი დათქმულ ვადებში დასრულდებოდა და ქვეყანას ენერგოგიგანტი შეემატებოდა. ჰესის მშენებლობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ახალდაბელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მშენებლობის წლებში დასაქმებულები კარგ ანაზღაურებას იღებდნენ. ასფალტი დაიგო ხიჭაური-ახალდაბის, ახალდაბა-წყაროთა-ჭალის გზაზე. სასმელი წყლის გამოყვანასა და გზების მოწესრიგებაში თავისი წვლილი შეიტანა შპს „აჭარისწყალი ჯორჯიამ". გარდა ამისა, ცალკეული ოჯახებისთვის საკომპენსაციო თანხებიც ჰესის მეპატრონე კომპანიების ბიუჯეტიდან გაიცა. უმადურები გაკეთებულს ვერც ახლა ხედავენ. არადა, ახალდაბაში მრავალმა ოჯახმა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე საცხოვრისი მოიწყო. გაკეთდა საყრდენი კედლები, მეწყრისა და ზვავის შემაკავებელი ნაგებობები. 60-ზე მეტმა ახალდაბელმა ქალაქ ბათუმში სახლი აიშენა ან ბინა იყიდა. რომ არა ჰესის მშენებლობა, ასეთი ეკონომიკური წინსვლა არ იქნებოდა.

**- სკოლის ხელმძღვანელი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე რას იტყვით?**

- პირველ რიგში, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, მშვიდი გარემო და ნორმალური ეკონომიკური მდგომარეობაა საჭირო, რომ სასწავლო პროცესი რეფორმის შესაბამისად წარიმართოს. მცირეკონტინგენტიან სკოლაში ყველა საგანს კვალიფიციური პედაგოგები ასწავლიან. მალვინა ზოიძის მსგავსად, უცხო ენების კლუბების ფასილიტატორი მენტორი პედაგოგია ხათუნა ფარტენაძე. მათ სხვებიც აიყოლიეს. სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, ასევე წარჩინებით სწავლობენ სასურველ უმაღლეს სასწავლებლებში. ბოლო წლებში დოქტურანტურაში სწავლის სურვილი 5-ზე მეტმა ახალგაზრდამ გამოთქვა, რომელთა შორის ჩემი ვაჟი და ქალიშვილიც არიან. პედაგოგებს მეტ სტიმულს გვმატებს სახელფასო ანაზღაურების მომატება, რომელიც უკვე ძალაშია.

**- სასწავლო პროცესი დასრულდა, თუმცა...**

- კარგი ფერმერი მოსავლის აღებისთანავე მომავალი წლისთვის სამზადისს იწყებს. ჩვენც ამ მეთოდით ვმუშაობთ. ყველაფერი კეთდება ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის. გულსატკენია, რომ მოსწავლეთა კონტინგენტი თანდათანობით კლებულობს.

# ჩვენი შოთა მასწავლებელი

*ახლანდელი შუახევის რაიონში უჩამბის საშუალო სკოლა პირველი საგანმანათლებლო კერა იყო ამ სტატუსით. წელს მისი გახსნიდან 75 წელი სრულდება. აქ თაობები აღზარდეს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მოვლინებულმა თუ ადგილობრივმა პედაგოგებმა. მათ შორის იყო შოთა შუქრის ძე ბერიძე*

მამის სახელით იმიტომ მივანიშნებთ, რომ გარკვეულ პერიოდში ერთად მუშაობდნენ შოთა შუქრის ძე და შოთა სულეიმანის ძე ბერიძეები. პირველი ისტორიას, მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, მეორე - ფიზიკასა და მათემატიკას. ამჯერად შოთა შუქრის ძე ბერიძეზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ 30 ივნისს მას დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.

ოთხი ძმა და ერთი და გაიზარდნენ კვირიაულელი (შუახევის რაიონი) სენემ ფევაძე-ბერიძისა და შუქრი ბერიძის ოჯახში. და-ძმებიდან წუთისოფელს მხოლოდ ნათელა შემორჩა, რომელიც გურიაში სახლობს.

უფალი ერთეულებს დაანათლებს ისეთ ნიჭსა და უნარს, როგორიც შოთა მასწავლებელს გააჩნდა. იგი მსახიობისთვის დამახასიათებელი ქცევებით, მუსიკალური მონაცემებითაც გამოირჩეოდა. უჩამბის სასოფლო კულტურის სახლის სცენაზე სპექტაკლებს რომ დგამდნენ, შოთას გამორჩეულ როლებს ათამაშებდნენ. უჩამბაში ქორწილი ან სხვა საზეიმო ღონისძიება ისე არ ჩატარდებოდა, „თევზების სიმღერა" არ შეესრულებინა, რასაც მუდამ ოვაციები მოჰყვებოდა. ყველა ოჯახში სასურველი სტუმარი იყო.

- უჩამბის სკოლაში მასწავლებლად რომ დაინიშნა, ჩვენ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ვიყავით. ასაკობრივი ზღვარი 12-13 წელი იყო. იმ დღიდან მე, ოთარ ველიაძე და შოთა აბუსელიძე დავუახლოვდით. სამივეს მუსიკალური ნიჭი გვქონდა. სკოლის მაშინდელმა დირექტორმა მევლუდ თურმანიძემ სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელობაც შოთა მასწავლებელს ანდო. მისი დამსახურება იყო, რომ ნოდარ ფევაძე, მერი თურმანიძე, ნანული შარვაშიძე ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტები გახდნენ და თავიანთი წვლილი შეიტანეს შუახევში კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში, - იხსენებს ყოფილი მოსწავლე ჟორა ბერიძე.

ომახიანი ხმა ჰქონდა. მას უსმენდნენ, სიტყვასა და სიმღერას უქებდნენ ხელვაჩაურის ახალსოფელში, ორთაბათუმში, ჩაქვსა და ქობულეთის სოფლებში, გურიის რეგიონში მცხოვრები უჩამბელები და მათი მეზობლები. ენაწყლიანი, კარგი მოსაუბრე იყო, სიტუაციას მორგებული შაირებიც იცოდა, თუმცა დინჯი და გაწონასწორებული იყო. ადამიანის გაქილიკებას, დამცირებას ვერ იტანდა. კოლეგებთან, ყოფილ მოსწავლეებთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა.

1961 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი რომ დაამთავრა, სამი წელი სხეფის 8-წლიან სკოლაში ისტორიისა და ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად იმუშავა.

- მაშინ სოფელში ტრანსპორტი იშვიათობა იყო, - იგონებს 70 წელს გადაცილებული პოეტი რევაზ დავითაძე, - შოთა მასწავლებელი ყოველ ორშაბათს კვირიაულიდან სხეფამდე 8 კილომეტრს ფეხით გამოივლიდა და სკოლაში დროზე მოდიოდა. შაბათს, გაკვეთილების შემდეგ, ისევ ფეხით გაუდგებოდა გზას. სოფელი, ყოფილი მოსწავლეები მის ღვაწლს არ ვივიწყებთ. წელიწადში ერთხელ გვსტუმრობდა უკვე ასაკში შესული. საჭირო „ინვენტარს" მოიმარჯვებდა და „თევზების სიმღერას" შეასრულებდა. ვუსმენდით და მისი უბადლო ოსტატობით ვტკბებოდით. არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ საზოგადოების ყურადღების ნებისმიერი გზით მიქცევას. შოთა მასწავლებელი ამისგანაც შორს იყო, ხალხის თხოვნით თუ შეასრულებდა მათთვის სასურველ სიმღერას. კვირიაულის დასახლებაში ცხოვრობდა. ეს უბანი უჩამბის საშუალო სკოლას ოთხი კილომეტრითაა დაშორებული. გზა ფეხით გადათელილი ჰქონდა. ამაყობდა კიდეც, 40 წლის განმავლობაში ფეხით იმდენი ვიარე, დედამიწას ორჯერ შემოვუვლიდიო. მისი მოსწავლეები ერთ დღესაც ვერ გავიხსენებთ, რომ გაკვეთილზე დაგვიანებით ან მოუმზადებელი შემოსულიყო.

თაობებს შეაყვარა შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, თანამედროვე ქართველი კლასიკოსების შემოქმედება. გამორჩეულად ვაჟა-ფშაველა უყვარდა. მისი პოემები ზეპირად იცოდა, „სტუმარ-მასპინძელი" უჩამბის სასოფლო კულტურის სახლის სცენაზეც დაიდგა მისი რეჟისორობით.



*„ თაობებს შეაყვარა შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, თანამედროვე ქართველი კლასიკოსების შემოქმედება. გამორჩეულად ვაჟა-ფშაველა უყვარდა. მისი პოემები ზეპირად იცოდა, „სტუმარ-მასპინძელი" უჩამბის სასოფლო კულტურის სახლის სცენაზეც დაიდგა მისი რეჟისორობით*

შოთას მამა შუქრი ბერიძე მაშინდელ ხულოს, შემდგომ შუახევის რაიონში ცნობილი პიროვნება იყო. ერთ ხანს ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედაც მუშაობდა. შოთა მასწავლებელი გამორჩეულად დედას ეფერებოდა. მოსწავლეებსაც გვმოძღვრავდა, მშობლების, პედაგოგების დარიგებას გავყოლოდით. თავადაც პედაგოგთა ოჯახი შექმნა. მეუღლე ეთერ ნაკაშიძე-ბერიძე 1956 წლიდან მოყოლებული 2003 წლამდე, კვირიაულის დაწყებით სკოლაში მასწავლებლობდა. ქალბატონი ეთერი და შოთა მასწავლებელი უფალს უმადლოდნენ, რომ სამი ქალიშვილისა და ერთი ვაჟის მშობლები, 10 შვილიშვილის, 5 შვილთაშვილის მომსწრენი იყვნენ. სიცოცხლის ბოლო წლები შოთა მასწავლებელმა მთლიანად ხელოვნებას დაუკავშირა. საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე უჩამბის სასოფლო კულტურის სახლს ჩაუდგა სათავეში. მისი ინიციატივით, კვირიაულის დასახლების ცენტრში შინმოუსვლელთა სტენდი, ხულო-შუახევი-უჩამბის საავტომობილო გზის გაყოლებაზე - შინმოუსვლელთა წყარო გაკეთდა. ყოფილი სამხედრო კომენდატურის ორი კორპუსიდან ერთი - საუბნო საავადმყოფოს, მეორე კი უჩამბის სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და კულტურის სახლის პერსონალს დაეთმო.

განიცადა, უჩამბის სასოფლო საბჭოს ცენტრში სტენდი რომ გაავერანეს, საუბნო საავადმყოფოს შენობა რომ გაძარცვეს, შინმოუსვლელთა წყაროსთან არსებული რკინის ღობე რომ მოიპარეს. ხელმრუდეთა წინააღმდეგ პირველმა აღიმაღლა ხმა, მაგრამ... გავერანებულს აღარაფერი ეშველა.

უჩამბაში, კერძოდ, კვირიაულის დასახლებაში არის ტოპონიმი „ნადარბაზევის სერი". გადმოცემის თანახმად, დავით აღმაშენებელს აქ დარბაზობა გაუმართავს. სწორედ „ნადარბაზევის სერზე" არსებულ ძელსკამზე ჩამომჯდარი, უჩამბის თემში შემოსულ სტუმარს თავისებურად, ომახიანად მიესალმებოდა, ოჯახში მიიპატიჟებდა. აჭარაში მოღვაწე სახელოვანი მწერლები და პოეტები ფრიდონ ხალვაში, მამია ვარშანიძე, ზურაბ გორგილაძე, ჯემალ ჯაყელი, ჯემალ ქათამაძე, შოთა ზოიძე მის მასპინძლობას ხშირად იხსენებდნენ. ეზოში სტუმარს რომ შეიყვანდა, მისი მარჯვენით გაკეთებულს, დარგულსა და გახარებულს აჩვენებდა, სუფრას თალარის ქვეშ გაუშლიდა და...

სხვისი ჭირის გამზიარებელი იყო, ფარისევლობას და მლიქვნელობას ვერ იტანდა, ყოველთვის სიმართლის მხარეს იდგა. უჩამბის საშუალო სკოლას მრავალი ღირსეული პედაგოგი ჰყავდა. ღირსეულთა შორის შოთა მასწავლებელი იყო და იქნება.

შოთა აბუსელიძე,
ოთარ ცინარიძე,
ყოფილი მოსწავლეები

# „ლექსებში ვკარგავ გასაღებს გულის“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***ბადრი სულაძე - ცნობილი პოეტი და ისტორიკოსი, ცხოვრების წესით, ადამიანებისადმი დამოკიდებულებით, კულტურითა და ინტელექტით, თავისი თვითმყოფადი პოეზიით საზოგადოების პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს. იგი არაერთი საყურადღებო ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი, ფესტივალებისა და კონკურსების წარმატებული მონაწილეა***

*„მკითხველის აღიარებაზე დიდი ჯილდო არ არსებობს“ - ასე მიაჩნია ბატონ ბადრის, რომელსაც გულითადი ურთიერთობა აკავშირებს ბათუმელ მკითხველებთანაც. მისი პოეზიისადმი ინტერესი არაერთხელ გამოიკვეთა ბათუმის ლიტერატურულ შეხვედრებზე. სწორედ ამ ინტერესის გამოძახილია ეს ინტერვიუც.*

**- „ჩიტების ნისკარტით მინაწერს, ხეებზე ვკითხულობ სტრიქონებს“ - რა საინტერესოა თქვენი ლექსიდან ეს ამონარიდი. იშვიათი სახისმეტყველებაა, მოდით, გვამოგზაურეთ თქვენს პოეტურ სამყაროში, რა არის თქვენი შთაგონების წყარო?**

- ზოგადად, სამყარო ფერებისა და ბგერების ამოუწურავი საბადოა, მაგრამ დაუსრულებლად უნდა ეძებო, შენთვის სასურველს რომ მიაგნო, რასაც დიდი ენერგია, განსხვავებულად ხედვისა და აღქმის უნარი სჭირდება, ოღონდაც სიყვარულის განცდით; მერცხლის ნისკარტით ნაგროვები მიწითა და ბალახით ნაკოწიწებ-ნაფერებ ბუდეს უნდა ჰგავდეს შენ მიერ მოძიებულ-მოხმობილი სიტყვებით გამოძერწილი, კეთილად სამყოფელი ლექსთა საუფლო, რომელშიც დაიბუდებ და გათბები, მერე სხვებიც რომ გაათბო და გააბედნიერო. სწორედ სიყვარულისა და სიკეთის კარნახით, სამყაროს განსხვავებულად აღქმის სურვილი კვებავს ჩემს შთაგონებას, რითაც ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, ხშირად დამღლელ ყოფიერებას არაჩვეულებრივ, შინაგანად დამუხტულ ფერადოვან სამყაროდ წარმოვსახავ, რეალობის მაქსიმალური შეგრძნებით, როცა სოფლის ორღობის ტალახიც კი სიყვარულის ნაღმივით ფეთქდება ფეხქვეშ და შარაზე ჩამოვლილი საქონლის ზანზალაკების წკარუნსაც დილის ლოცვის მადლი მოჰყვება.

**- არაერთი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული ბრძანდებით. მათგან რომელს გამოარჩევთ?**

- ყველა ლიტერატურულმა კონკურსმა, რომელშიც ვმონაწილეობდი, უდიდესი სიხარულის განცდა და ძლიერი შთაბეჭდილება დამიტოვა, თუმცა რამდენიმეს მაინც გამოვყოფ. 2015 წელს, ქრისტიანული პოეზიის ფესტივალზე მიღებული წმინდა ნინოს ჯვარი ერთგვარი თილისმა აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან მისგან გადმოსულმა მადლმა დიდად განსაზღვრა ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების გზა. ასევე, ძვირფასია ჩემთვის გამარჯვება, წილად რომ ხვდა ლექს „დაბადებას“ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მიერ ვარძიაში ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსზე „შოთაობა - 2016“. შეუძლებელია იმ ემოციის დავიწყება, ბათუმის ლიტერატურულ კონკურსზე „ლექსების გამოფენა - 2019“ ლექსის „სეიჰან“ გამარჯვებამ რომ დამიტოვა. მეამაყება მარტვილში ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსში „ქუჯი - 2020“-ში გამარჯვება. ვიყავი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ლიტერატურულ პროექტ „ცოცხალი წიგნები - 2018“-ის მონაწილე. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის წმინდა ილია მართლის, ჯემალ აჯიაშვილისა და თამაზ წივწივაძის სახელობის პრემიები, რომლებიც სხვადასხვა ლიტერატურულ კონკურს-ფესტივალზე მაქვს მიღებული. ეს ის გამარჯვება და სიხარულია, ადამიანად დაბადების მშვენიერებას რომ გაგრძნობინებს.

**- „ეს წიგნი ჩემი ცხოვრების გამარჯვებაა“ - ასე ბრძანეთ ლექსების კრებულზე „რაჭა, შენ რომ არ მყავდე“...**

- გამარჯვებაცაა და გამართლებაც. ამ წიგნმა განსაკუთრებული სიხარული მომიტანა. მის გამოცემაში დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონ ნარგიზ გრძელიშვილ-მაისურაძეს, რომელიც ამერიკაში მცხოვრები ემიგრანტი გახლავთ და დღემდე მადლიერი ვარ მისი დიდსულოვნებისთვის. წიგნზე დიდი ამაგი აქვს რედაქტორს, ქალბატონ ელენე სალარიძეს. „რაჭა, შენ რომ არ მყავდე“ ჩემი სიხარულისა და ტკივილის გამოხატულებაა, რაც იმ ფიქრის ნაყოფია, ბავშვობიდან ფეხდაფეხ ადევნებული ძაღლივით რომ მომდევს და არ მეშვება. რაჭულ დიალექტზე დაწერილ ლექსებში ჩატეულმა სევდანარევმა სიხარულმა სხვებსაც საფიქრალი გაუჩინა, რაჭველსაც და არარაჭველსაც, რაც მშობლიური კუთხის, მისი მეურნე, მუხლჩაუხრელი ადამიანების მოჭარბებული სიყვარულიდან და წინაპრების ხსოვნის პატივისცემიდან მომდინარეობს. სწორედ ესაა წიგნის გამარჯვება, მკითხველს რომ სულს აუფორიაქებს, მოსვენებას არ მისცემს და ადამიანად ყოფნის რაობაზე ჩააფიქრებს. შთამბეჭდავი იყო აღნიშნული კრებულის წარდგენა რაჭაში, ნიკორწმინდის ტაძრის ეზოში, ასწლოვანი ცაცხვების ქვეშ 2015 წელს პირველად ჩატარებულ მხატვრული სიტყვის ფესტივალზე „ფუძემზეობა“, რომლის იდეის ავტორი და ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ რაჭის მკვიდრი, გულმხურვალე მამულიშვილი, პოეტი გურამ გორდეზიანი. მან ჩემს წიგნზე საუბრისას ასეთი რამ თქვა: „ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ შესაძლებელი იქნებოდა, ხელში მჭეროდა წიგნი, რომლიდანაც ჩემი კუთხის უკვდავების მარადიულ „იავნანას“ მოვისმენდი ჩემი წინაპრების შესრულებით..“. სხვებმაც, სხვა დროს, დიდი სიყვარული გამოხატეს წიგნის მიმართ, იყო შეფასებები ლიტერატურის კრიტიკოსთა მხრიდანაც, ისეთი, მარტო რაჭული ლექსები რომ გეყოფა გამოსარჩლებად, რამაც დიდი სტიმული მომცა და რაჭული მოტივების მთელი ციკლი შემაქმნევინა. 2015 წელს, საბერძნეთში მცხოვრები ემიგრანტი ქალბატონის თამარ კირვალიძე-ჩიხრაძის ხელშეწყობითა და თანადგომით, გამოიცა ლექსების კრებული „ჩიტიწყალა“, ხოლო 2021 წელს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, დაიბეჭდა კონკურსში გამარჯვებული წიგნი „რაჭული მოტივები“.

**- თქვენი ლექსები არაერთხელ გამხდარა კომპოზიტორების შთაგონების წყარო - იწერება სიმღერები, რომლებსაც მღერიან ცნობილი შემსრულებლები. რას გრძნობთ, როცა ამღერებულ საკუთარ ლექსებს უსმენთ?**

- მოგეხსენებათ, ლექსთწყობის ყველა ნიუანსის გათვალისწინებით გამართული კონვენციური ლექსი თუ ვერბლანი მელოდიურობით ხასიათდება. პოეტი ხომ სიტყვის მარცვალთა რაოდენობის მონაცვლეობით თავისებურ მუსიკალურ ქარგას ქმნის, რაც სიტყვის სიმსუბუქესთან, ჰაეროვნებასა და ფერადოვნებასთან ჰარმონიაშია და როცა ამგვარი ლექსი რეალურ მუსიკალურ ბგერათა სამყაროში ინაცვლებს, კიდევ უფრო ძლიერ ფრთებს ისხამს ზეცაში საფრენად. უსაზღვროა მოლოდინის განცდა და საბოლოო შედეგით მიღწეული სიამოვნება. მაქვს ბედნიერება, ვმეგობრობდე ისეთ ნიჭიერ კომპოზიტორთან, როგორიც ეკა თევზაძეა. ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიანი წლების შავ-თეთრი სამყარო გამიფერადა ეკამ, როცა ჩემი ლექსი „მოგისაკლისე“ აამღერა, რომელსაც მომღერალი ეკა კვალიაშვილი ასრულებდა. შემდეგ იყო ეკას სხვა სიმღერებიც - ზურაბ დოიჯაშვილისა და ლაშა რამიშვილის შესრულებით. სიმღერა „ღელავს ზღვა“ მე და ეკამ ერთად ვიმღერეთ და სტუდიურადაც ჩავწერეთ. იმავე ოთხმოცდაათიან წლებში შევხვდი მომღერალ ქეთი მერკვილაძეს, რომელიც მაშინ პოპულარობის ზენიტში იყო. ქეთიმაც ჩემს ლექსებზე დაწერილი არაერთი სიმღერა შეასრულა. უფლის დიდი წყალობაა, იცნობდე ისეთ ნიჭიერ კომპოზიტორსა და ღირსეულ პიროვნებას, როგორიც მერაბ მერაბიშვილი გახლავთ, რომელთანაც ასევე ნაყოფიერი შემოქმედებითი ურთიერთობა შედგა. ჩემი ლექსები სხვადასხვა დროს წარმატებით აამღერეს ნანა ზარქუამ, მაია სიჭინავამ, დავით გასიტაშვილმა და ირმა კვაშილავამ. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მათ იმ სიხარულისთვის, რაც მეცა და მსმენელსაც მოგვანიჭეს.

**- „ლექსებში ვკარგავ გასაღებს გულის“ - ამბობთ ერთგან, ანუ...**

- ანუ ჩემი სულის მდგომარეობა იმგვარია, რომ შინაგანი სამყარო არ მაძლევს მშვიდად ყოფნის საშუალებას და მიბიძგებს დაგუბებული ემოციის გადმოსაცემად. ეს ემოცია თავისუფლად, შეუზღუდავად იღვრება ფურცელზე, როცა ასე მიმზიდველია აზროვნების პირველყოფილ მშვენიერებასთან მიახლოება. ლექსი, რომელიც მხოლოდ თავისუფალ სტიქიაში იბადება, თავისუფალ სტიქიასვე შობს და მინდა, მკითხველმაც თავისუფლად შემოაღწიოს გულში დავანებულ ჩემს პოეტურ სამყაროში, მაგრამ თუკი ეს ვინმეს, ერთი შეხედვით, შეუძლებლად მოეჩვენება, ნუ დაბრკოლდება, ლექსებშივე ეძებოს ჩემი გულის დაკარგული გასაღები.

> ***„ სწორედ სიყვარულისა და სიკეთის კარნახით, სამყაროს განსხვავებულად აღქმის სურვილი კვებავს ჩემს შთაგონებას, რითაც ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, ხშირად დამღლელ ყოფიერებას არაჩვეულებრივ, შინაგანად დამუხტულ ფერადოვან სამყაროდ წარმოვსახავ***

**- ლიტერატურულ შეხვედრებსა და საღამოებზე როცა გიწვევენ, როგორია მკითხველებთან თქვენი ურთიერთობა?**

- პოეტი ლექსის წერით საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზაციას ახდენს, რაც სამყაროში თვითდამკვიდრებისა და გადარჩენისთვის სჭირდება, თუმცა მისი აზროვნების ნაყოფი, უპირველესად, მკითხველისთვისაა განკუთვნილი. ლექსის წერის დროს მკითხველის გემოვნებასაც ვითვალისწინებ, ვუფრთხილდები ლექსის მიმართ მის ემოციურ დამოკიდებულებას, მგრძნობელობას. პოეტი შემოქმედებითი ძიების მუდმივ პროცესში, საკუთარი თავისა და მკითხველის მიმართ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა ქმნიდეს და ამკვიდრებდეს თანადროულობის ნიშნით აღბეჭდილ მაღალ ლიტერატურულ სტანდარტს, ნაწარმოების, როგორც შინაარსობრივ-ემოციური, ასევე ვერსიფიკაციული თვალსაზრისით. მეამაყება, რომ თამაზ წივწივაძის ფონდის მიერ ორგანიზებულ იმ კონკურსში გავიმარჯვე, რომლის სახელწოდებაც არის „ფრთხილად, წინ მკითხველია!“. ლიტერატურულ კონკურსებში მონაწილეობა და გამარჯვება გასახარია, მაგრამ ერთგული მკითხველის აღიარებაზე დიდი ჯილდო არ არსებობს, მკითხველი კი მხოლოდ მაშინ გაღიარებს და მიგიღებს, როცა შენს შემოქმედებაში მაღალ ლიტერატურულ გემოვნებასთან ერთად გულწრფელობასაც დაინახავს. ყოველთვის დიდ სიყვარულს ვგრძნობ ჩემი მკითხველისგან სოციალურ ქსელებში ურთიერთობის თუ ლიტერატურულ საღამოებზე შეხვედრისას. ბოლოდროინდელი შეხვედრებიდან გამოვყოფდი აჭარის მუზეუმის დირექტორის მოადგილის, შესანიშნავი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ქალბატონ ინგა გოგიბერიძის მიერ ორგანიზებულ სალონურ საღამოს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმში, არაჩვეულებრივი პოეტის თენგო ხუციშვილის მიერ ჩატარებულ პოეზიის საღამოს მცხეთაში, კაფე „ტატინში“ და ლიტერატურის კრიტიკოსის, პროფესორ თამარ გელიტაშვილის ორგანიზებულ საღამოს გორის უნივერსიტეტის, გიორგი მახარობლიძის სახელობის ლიტერატურულ კაფეში. მთელი ცხოვრება გამყვება ამ საღამოების თითოეული მონაწილის ყურადღებით, გულწრფელობითა და ერთგულებით გამოწვეული სიხარულის განცდა.

**- თქვენი დაკვირვებით, თანამედროვე მწერლები როგორ ეპყრობიან ქართულ ენას?**

- ქართული ენა დედასავით მოსაფერებელი და მოსაფრთხილებელია, რაც, საბედნიეროდ, ბევრ თანამედროვე მწერალს აქვს გაცნობიერებული, თუმცა რაკიღა კითხვა გაჩნდა, ესე იგი პრობლემაც არსებობს, არადა, თუ არა მწერალი, ვინ უნდა ზრუნავდეს ენობრივი ნორმების დაცვასა და ქართული სიტყვის მადლის შენარჩუნებაზე, მით უმეტეს, როცა ასე განებივრებული ვართ კარგი მოქართულე მწერლების სიმრავლით. სხვაგვარად როგორ იქნება?.. შოთას, ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის ქვეყანაში როგორ უნდა დავუშვათ მდიდარი ქართული ენის გაღარიბება, უცხო სიტყვების მოურიდებლად, დაუფიქრებლად გამოყენების ფონზე?! პირიქით, ქართული ენის ქომაგად უნდა იქცეს თითოეული მწერალი, რომ ქართულ ძარღვიან სიტყვას არ დაეკარგოს ის ძალა და ფერადოვნება, რასაც აგრერიგად ეფერებოდნენ გიორგი ლეონიძე, რეზო ინანიშვილი, გოდერძი ჩოხელი... პირადად მე, ლექსის წერისას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ სიტყვის ჰაეროვნებას, სიმსუბუქეს, ფერადოვნებასა და მელოდიურობას. გრძნობების სიღრმისეულად გადმოსაცემად, ასევე, საჭიროდ მიმაჩნია უკვე კარგად ნაცნობი სიტყვების მცირე სახეცვლილებით შეკავშირება და ჩამოქნაც კი, ანუ გამდიდრება. პოეტი უნდა ისწრაფოდეს საკუთარი, ყველასგან განსხვავებული ხელწერის ჩამოყალიბებისკენ. ახალი სიტყვების შექმნა ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა, ამიტომაც დაიბადა ჩემს პოეზიაში სიტყვები: ღამეგიშერობა, სხივმთვარესი (რომელიც მეორე სიტყვასთან - „სიმთვრალეში“ გარითმვის აუცილებლობამ წარმოშვა), ფოთოლმზეობდეს, ამონატვრისფრდა, ფერნაქცევი, ნამცვრევი, თაფლამტევნები, ანარგიზება, ზღაპარხილვა, ვარდგიშერა, თვალმნათი და სხვა.

**- აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხუთტომეული რომ გამოვიდა, ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურეთ. რა დატვირთვა აქვს ამ წიგნებს ახალგაზრდების ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში?**

- აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას „შრომების“ ხუთტომეულის განმეორებითი გამოცემით საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ არა მარტო ეროვნული, სახელმწიფოებრივი ხედვა გამოხატა, არამედ უდიდესი მხარდაჭერა - ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და წარმოჩენაში. ეს ის გზაა, მომავალმა თაობებმა რომ უნდა იარონ და ბოლომდე გააცნობიერონ აზროვნებისა და ქმედების ის ეროვნული ქვაკუთხედი, რაზედაც მათი მოქალაქეობრივი პოზიცია უნდა დაშენდეს. გიორგი ჩიტაიას შრომების ხუთტომეულში გამოვლენილია ქართული კულტურის თვითმყოფადი წარმომავლობა, საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული როგორც სამეურნეო და მატერიალური კულტურის, ასევე, სოციალური მოვლენებისა და იდეოლოგიური ურთიერთობის კულტურულ-ისტორიული ღირებულება... ფურცელი - ფურცელს, ფიქრი ფიქრს მიჰყვება ცხვრის ფარას ადევნებული ნაგაზივით და შუკა-შუკა, მხცოვანი მეცნიერის ნაკვალევზე მოსიარულე ნათლად გრძნობ, თუ როგორ საქართველოს ეფერებოდა, როგორ საქართველოს დაატარებდა ლოკოკინის ნიჟარასავით ზურგზე მოკიდებულს. ქართველი ხალხის ერთიანობის იდეით არის გამთბარი მისი აზროვნება, რომელიც საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეების ცალკეულ კულტურულ მიღწევებს ერთ მთლიან ზოგადქართულ კულტურაში წარმოგვისახავს და, რაც მთავარია, გვასწავლის იმის გაცნობიერებას, რა არის ჩვენი უმთავრესი საქმე, რა დიდი მადლია უხმაუროდ, სამშობლის საკეთილდღეოდ საქმის კეთებაში.

**- ეთნოგრაფიულ მუზეუმში მუშაობის გამოცდილება რას გკარნახობთ, რას განაზოგადებდით?**

- დავიწყებ იმით, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმი დიდი მამულიშვილის, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სახელს ატარებს, რადგან სწორედ ის გახლავთ საქართველოში ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსების იდეის ავტორი, მუზეუმის, სადაც ერთიანი, დაუნაწევრებელი საქართველოს აღქმა და განცდაა შესაძლებელი... დააბიჯებ ამ ერთ ხელისგულზე დასატევ საქართველოს მიწაზე, სვანური კოშკი გადმოგყურებს კლდის ნატეხივით მკვრივი, უტეხი სვანი კაცივით და გეიმედება ეს მიწაც და მისი მომავალიც... ამიტომ დაარსდა ეს მუზეუმი, რომ ცხოვრების ხვატით გათანგულებმა სწორედ აქ მოვიბრუნოთ სული, აქ ვილოცოთ ტაძარივით აგებული ამ პატარა საქართველოსთვის.

იხ. მე-8 გვ.



# მხატვარი მომავლიდან – 12 წლის ბარბარე ქორთუა

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

*მოზარდებისთვის ხატვა ერთ-ერთ გასართობ აქტივობად ითვლება. იშვიათად, მაგრამ მაინც, მსგავს გართობას დიდ პროფესიონალიზმამდე მივყავართ*

*დღეს მინდა გაგაცნოთ 12 წლის **ბარბარე ქორთუა,** რომელიც, შეიძლება ითქვას, ამ ასაკშიც კი იდეალურად ხატავს. ის თვითნასწავლი მხატვარია და შეკვეთებსაც იღებს. ბარბარე, თავისი ასაკის კვალობაზე, ღრმად არის გათვითცნობიერებული მსოფლიოს სახვითი ხელოვნების საკითხებშიც.*

**- რამდენი წლისამ დაიწყე ხატვა?**

- ზუსტად არ მახსოვს, როდის ავიღე პირველად ხელში ფანქარი და დავხატე, მაგრამ



ის ვიცი, რომ ძალიან პატარა ვიყავი, ალბათ 5 წლის ვიქნებოდი.

**- რას ნიშნავს შენთვის ხატვა?**

- ყველასთვის სხვადასხვაგვარი შეგრძნებაა ხატვა. თავიდან როგორც გასართობს, ისე ვუყურებდი, მაგრამ დღეს ის ჩემთვის ყველაფერია. მოლბერტთან რომ მივდივარ და ხატვას ვიწყებ, მთელი გონებითა და სულით



ვარ ჩართული ამ საქმეში. ფანქარი და ფურცელი უდიდეს ბედნიერებასა და სიმშვიდეს მგვრის და მუშაობის დროს სრულ ჰარმონიას ვგრძნობ. დატვირთული სკოლის რეჟიმის შემდეგ, როდესაც სახლში მივდივარ და ხატვას ვიწყებ, დაღლილობა მეხსნება. ხატვა ჩემთვის სიმშვიდისა და განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა.

**- თუ გქონდა შეხება სამხატვრო სკოლასთან?**

- ხატვაზე არასდროს მივლია. ჩემი და რომ ხატავდა, ვუყურებდი და ძალიან მომწონდა, რასაც აკეთებდა, ამიტომ მეც დავიწყე. მამაც მხატვარია და ალბათ ამანაც იქონია გავლენა, რომ მე დღეს ხატვა შემიძლია.

**- სკოლაში რას ამბობენ, ასეთი ნიჭით რომ ხარ დაჯილდოებული?**

- მასწავლებლებისა და კლასელებისგან ხშირად ვიღებ კომპლიმენტებს. მე-4 კლასში დაწყებითი კლასის მასწავლებელმა სკოლაში გამოფენაც მომიწყო.

**- სხვადასხვა მხატვრის ნახატებს თუ იცნობ და ხომ არ არის შენს შემოქმედებაში მათი გავლენა?**

- ხშირად ვეცნობი გამოჩენილი მხატვრების ნამუშევრებს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მამა მხატვარია და მან უფრო იქონია გავლენა, ვიდრე სხვებმა.

**- როგორც ვიცი, ფანქრით ხატავ. რატომ აირჩიე ეს ტექნიკა?**

- ფანქრით ხატვა უფრო მიადვილდება.

**- გიყვარს პორტრეტების ხატვაც. ვისი პორტრეტი დახატე პირველად?**

- პატარა ასაკიდან ვუყურებ ანიმეებს (იაპონიაში წარმოებული მულტფილმები), პერსონაჟების პორტრეტებს ვხატავდი, ადამიანების პორტრეტებიდან კი ჩემი პირველი ნამუშევარი იყო ცნობილ ინგლისელ მსახიობ



ჯოზეფ მორგანის პორტრეტი. ამის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ტექნიკაც გამომდიოდა და პორტრეტების ხატვაც აქტიურად დავიწყე.

**- ძირითადად, რისი ხატვა გიყვარს, რა ჟანრის და რატომ?**

- უფრო ხშირად პორტრეტებს ვხატავ, რადგან პორტრეტი რეალობასთან ახლოსაა. ვინც დავხატე, ყველას მოეწონა.

**- შეკვეთებს თუ იღებ და რა ღირს შენი ნახატი?**

- პირველად ჩემი ნახატი 2021 წლის პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის დღის აღსანიშნავ გამოფენაზე გაიყიდა. შეკვეთები მას შემდეგ მაქვს, რაც ჩემი ნახატები გამოვაქვეყნე ფეისბუქჯგუფ „სარჩევში“, სადაც საზოგადოებისგან დიდი ინტერესი და მოწონება დავიმსახურე. ფასს რაც შეეხება, თითო პორტრეტი 100 ლარი ღირს, ვფიქრობ, ეს არც ბევრია და არც ცოტა. ახლაც შეკვეთა მაქვს, რომელსაც მალე დავასრულებ.

**- როგორია საზოგადოების რეაქცია, როდესაც შენს ნახატებს ხედავენ?**

- ყველა გაკვირვებულია, ჩემს ასაკში ასე რომ ვხატავ. ზოგჯერ ეჭვის თვალითაც მიყურებენ და ვერ იჯერებენ, რომ ჩემი ნამუშევარია. რადგან მამაც მხატვარია, ჰგონიათ, რომ ის მეხმარება.

**- აპირებ, ამ საქმეს გაჰყვე?**

- ხატვა ძალიან მიყვარს და როგორც ამბობენ, კარგადაც გამომდის. შესაბამისად, ვფიქრობ, გავყვები. ძალიან მინდა, კარგი მხატვარი გამოვიდე.

**- საყვარელი მხატვარი?..**

- ძალიან ბევრის ნამუშევარი მომწონს, თუმცა განსაკუთრებით გამოვარჩევ ელენე ახვლედიანს.

**- მუზის მოსვლის დროს ხატავ თუ შეგიძლია ნებისმიერ მომენტში ხატო?**

- ბევრი მხატვრისგან მსმენია, რომ თუ მუზა არ მოსდით ან განწყობა არ აქვთ, ვერ ხატავენ. ჩემს შემთხვევაში არაფერს აქვს მნიშვნელობა - შემიძლია, ნებისმიერ დროს ვხატო.

**- გამოფენას როდის გეგმავ?**

- ვფიქრობ, ჯერ არ მაქვს დაგროვებული ნახატების საკმარისი რაოდენობა გამოფენის მოსაწყობად.

**- აპირებ, რომ ხატვა შენთვის შემოსავლის წყარო გახდეს თუ გენანება ნამუშევრების გაყიდვა?**

- ეს ნახატები ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გამოფენამდე ვერცერთს ვერ გავყიდი, გამოფენის შემდეგ კი არ ვიცი, რა მოხდება.

**- ხატვის გარდა რითი ხარ დაკავებული?**

- ჯერ ვსწავლობ და თან ვხატავ. სხვა საქმის კეთების დრო არ მრჩება.

**- კონკურსებში თუ მიგიღია მონაწილეობა?**

- ჯერჯერობით - არა.

**- რომელი ნახატი გიყვარს განსაკუთრებულად და რატომ?**

- ბროწეულები. ბევრი ვიშრომე და ვფიქრობ, ძალიან კარგი გამოვიდა. ჩემს ნახატებში ნამდვილად გამორჩეულია.

**- შენს გეგმებზე გვიამბე...**

- ასე დაზუსტებით ვერ გეტყვით, რადგან ჯერ არ მიფიქრია, ის კი ზუსტად ვიცი, რომ მინდა გამოვიდე ცნობილი მხატვარი და გამოფენა მოვაწყო არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

# „ლექსებში ვკარგავ გასაღებს გულის“

მე-7 გვერდიდან

**- დიდი წინაპრების გაცოცხლება რომ შეგეძლოთ, ვის გააცოცხლებდით?**

- თუკი ერთ-ერთი უნდა გავაცოცხლო, მაშინ - ილია ჭავჭავაძეს. „ილია მართალი“ სიტყვით და საქმით საკუთარ თავში აერთიანებს იმ მარადიულ ღირებულებებს, რაზედაც იდგა ჩვენი დიდებული წარსული და რაზედაც ჩვენი ბედნიერი მომავალი უნდა დაშენდეს - „მამული, ენა, სარწმუნოება.“

**- როგორ მკითხველად მიგაჩნიათ თავი? თქვენი რჩეული წიგნები და მწერლები...**

- ვცდილობ, თვალი მივადევნო როგორც მსოფლიო, ასევე ქართულ ლიტერატურულ სივრცეში მიმდინარე პროცესებს. ერთხელ წაკითხულს მეორედ აღარ ვუბრუნდები, პირველი შთაბეჭდილების ქვეშ ვამჯობინებ დარჩენას, თუ მხედველობაში არ მივიღებ ზოგიერთი ნაწარმოების ცალკეული ეპიზოდების უფრო დეტალურად განხილვას, რამაც ან მძაფრი ემოციური შეგრძნება დამიტოვა, ან მხატვრული აზროვნების სრულყოფილებით მომხიბლა. კონკრეტული მწერლის ან წიგნის გამოყოფა გამიძნელდება, რადგან ყველას თავისი ადგილი აქვს ჩემს შემეცნებაში, ჩემი თვალსაწიერის გაფართოებაში. ყველამ რაღაც ხელშესახები შესძინა ჩემს სულიერებას. ბოლო დროს მართალია, მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა ნობელიატ მწერალ ჰერტა მიულერის წიგნმა „მეფე დაიხრება და კლავს“, რომელიც რუმინეთის დიქტატორული რეჟიმით გაწამებული გერმანელი ქალის ცხოვრებას ეხება, თუმცა კიდევ ერთხელ გამიმძაფრა განცდა, რომ ნებისმიერი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებაში მიმდინარე ჰუმანურ პროცესებს ალტერნატივა არ გააჩნია. მეტად საინტერესო სამყაროს ვეზიარე თურქულ პოეზიასთან შეხებით. ბატონ ალექსანდრე ელერდაშვილისა და ქალბატონ მაყვალა ხარებავას პწკარედების მიხედვით ვთარგმნე ათაოლ ბეჰრამოღლუს, სენიურ სეზერის, მურადხან მუნგანის ლექსები, რომლებიც თურქული პოეზიის ანთოლოგიაშიც შევიდა. ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო აწ განსვენებულ, ახალგაზრდა იაპონელ პოეტ ქალ მისუძუ კანეკოს პოეზიის გაცნობა, რასაც შესანიშნავმა მწერალმა და მთარგმნელმა მარიამ წიკლაურმა გვაზიარა. ეს არის წიგნი სიცოცხლის სიყვარულზე, როცა ქარსაც კი აღარ უნდა ბაღის დაკეტილი კარის შეღება, აყვავებული ზეთისხილის სურნელება რომ არ გაფანტოს. მე მიყარს მზიანი წიგნების კითხვა, ისეთების - ნოდარ დუმბაძის, რეზო ინანიშვილის აზროვნების ნაყოფი რომ ჰქვია და შენც აუცილებლად უნდა ეზიარო, უფრო მეტად რომ გაკეთილშობილდე.

**- ბუკინისტებში თუ დადიხართ? და თუ - კი, რა შეიძინეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი?**

- ციფრული ბიბლიოთეკის ხანაში ბუკინისტებში აღარ დავდივარ, თუმცა ადრეულ წლებში, განსაკუთრებით - სტუდენტობისას, არაერთი რარიტეტი შემიძენია, მათ შორის „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ზაქარია ჭიჭინაძის „მეფე ირაკლის გლეხი გმირები“, პავლე ინგოროყვას „რუსთაველი და მისი პოემა“, ნიკო ლორთქიფანიძის „ნოველები“ და სხვა.

**- როცა ბუნებაში ხართ... როგორ კითხულობთ ბუნების დიდ წიგნს?**

- ბუნებასთან ურთიერთობაში ყალიბდება ადამიანის მსოფლმხედველობა, რაც დიდ როლს თამაშობს მისი სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების მთავარი მიმართულებების განსაზღვრაში. ბუნება არა მარტო მატერიალურად, არამედ სულიერად გვკვებავს და გვასაზრდოებს, მაგრამ მხოლოდ სიამოვნება და სარგებლობა კი არ უნდა მივიღოთ მისგან, არამედ ყურიც უნდა დავუგდოთ, რათა ბევრი რამ ვისწავლოთ. ბუნებაც ადამიანივითაა: მიგიღებს, მოგეფერება, გულს გადაგიხსნის, მესაიდუმლედ გაგიხდება, თუმცა გაბრაზებაც იცის, როცა წყრომას მეწყრებად, წყალდიდობებად და ზვავებად გამოხატავს. უნდა დავფიქრდეთ, რა შეგვეშალა, რა ვაწყენინეთ, უნდა გავუგოთ მას, მოვეფეროთ, გავუფრთხილდეთ და ისიც გაგვიფრთხილდება. ბუნება დედასავითაა და გაბრაზებაც ეპატიება.

**- ოჯახი პატარა სახელმწიფოა - ასეა?**

- ოჯახში მთავარი ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, თანაგანცდაა, რაც უფრო მეტად ამყარებს ურთიერთობებს. ოჯახში, საფიქრალისა და პრობლემების მიუხედავად, მშვიდად უნდა გრძნობდე თავს. სახელმწიფოშიც ასეა - თუ სიტყვა ფასობს და კანონი კანონობს, თუ საზოგადოების თითოეულ წევრს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განცდა ამოძრავებს, ერთმანეთზე ზრუნვის ნიშნით, ყველაფერი რიგზეა. ჩემი ოჯახი ცხოვრების ტრადიციული წესების მიმდევარია. ვუფრთხილდებით ერთმანეთსაც და მათაც, ვისთანაც ურთიერთობა გვიწევს. ვფიქრობთ, ვდარდობთ, გვიხარია. ვცდილობთ, ჩვენი არსებობით სხვები არ შევაწუხოთ. ჩემი მეუღლე - მარინე ნიკოლეიშვილი პროფესიით ისტორიკოსია და ჩემთან ერთად თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში საქმიანობს. მყავს ორი შვილი - თამთა და ბექა. თამთა ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიაში მუშაობს და თავის პატარა ოჯახზე ზრუნვითაა დაკავებული. გვახარებს სესილიკოს, ჩემი შვილიშვილის წარმატება, რომელიც ჯერ ცხრა წლისაა, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებლად ასპარეზობს მხატვრულ ტანვარჯიშში, საერთაშორისო ტურნირებზეც კი. ბექა „იმედისა“ და „პოსტივის“ სატელევიზიო არხების სცენარისტი და იუმორისტია - თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, რასაც საკმაოდ კარგად ართმევს თავს ერთგული მეგობრების მხარდაჭერითა და გვერდში დგომით.

**- სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ... ხშირად სტუმრობთ ადგილს, სადაც დაიბადეთ?**

- ტყიბულში დავიბადე. არის ასეთი პატარა და ლამაზი ქალაქი იმერეთში. საშუალო სკოლა იქ დავამთავრე. მეგობრული კლასი მყავდა, მზრუნველი, საქმის ერთგული მასწავლებლები, უსაყვარლესი, უთბილესი მეზობლები, კეთილი ღიმილითა და შესაშური ყურადღებით, მათთან ურთიერთობას რომ არაფერი მერჩია... მაბედნიერებს იმ წლების გახსენება, რასაც უდარდელი ბავშვობა ერქვა... მერე თბილისში წამოვედი ოჯახთან ერთად, მერე - ჯარი, უმაღლესში სწავლა და... მშობლიურ ქალაქს იშვიათად ვსტუმრობდი, უფრო გავლით მიწევდა მისი მონახულება - რაჭაში მიმავალს. რაჭაში სხვაგვარად ვაზროვნებ, თითქოს ახალი სუნთქვა მეხსნება, იქ ჩემი გული საყდრის კარზე მიგლესილი სანთელივით სხვაგვარად იწვის, იქ ჩემი მშობლების, ახლობლებისა და წინაპრების საფლავებია, მთავარანგელოზის ეკლესიის ეზოში... მათი ხელმონაკიდები და ნაფერებ-ნალოლიავებია ყველაფერი და გული უფრო იქითკენ მიმიწევს... სამშობლოს განცდა ხომ საფლავითაც იწყება.

**- რწმენა მთებს შეძრავსო, ამბობენ. თქვენ რას იტყვით, რა არის თქვენი რწმენის სათავე?**

- ჩემი რწმენა ბავშვობიდან იღებს სათავეს, ბებია რომ ბოხჩუანებს და სართვიანებს გამოაცხობდა, პირთამდე გალიცლიცებული საზედაშე ჭურიდან ღვინოს ამოიღებდა, თაფლის სანთელს ჩამოქნიდა და ასე სანთელ-განატეხით ხელდამშვენებული მიეახლებოდა მთავარანგელოზს ლოცვა-ვედრებით. ჩემი რწმენა ღვთის მოშიშობიდან, ღვთის სიყვარულიდან იღებს სათავეს. ეს ის რწმენაა, როცა მინდვრის პატარა ცვარიდანაც ღმერთი მიყურებს, როცა მიტოვებული სოფლის უსაზღვრო სევდაში, დათოვლილი წითელი ძახველიც იმედის მომცემად ანათებს უკიდეგანო ოკეანის შუქურასავით.

**- ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში ადაპტირებისთვის რას ურჩევთ თქვენი თაობის ადამიანებს, განსაკუთრებით - მწერლებს?**

- მხოლოდ გარეგნულმა მშვენიერებამ არ უნდა მოგვხიბლოს, სულის მდგომარეობაზე უნდა ვიდარდოთ, რომ არ გავუცხოვდეთ, არ გავუხეშდეთ. მთავარია, ადამიანებად დავრჩეთ, სიცოცხლეზე შეყვარებულ კეთილ ადამიანებად.

# ელექტრონული რესურსების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მისი როლი მოსწავლის განვითარებაში

თანამედროვე სწავლა-სწავლების პროცესი უამრავი გამოწვევითაა სავსე. ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარება პირდაპირ აისახა მოზარდის თვალსაწიერსა და ცნობიერებაზე, შესაბამისად, საგაკვეთილო პროცესმა ავტომატურად მოითხოვა ფორმირება, ცვლილება. გაჯეტების თაობას ვეღარც ცოდნით გააკვირვებ და ვეღარც - მოსმენილით. აუცილებელია საგაკვეთილო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ ტექნოლოგიური ნაწილი გათვალისწინებული იყოს და მოზარდის შემოქმედებითი უნარები მას დაუკავშირდეს, რადგან ამ მხრივ უკიდეგანოა მათი შესაძლებლობები, შესაბამისად, სიამოვნებით აკეთებენ იმას, რაც შეუძლიათ და თუ ამას პედაგოგი ისე აქცევს მოსწავლის ცოდნის წყაროდ, გაკვეთილი როგორც საინტერესო, ისე შედეგიანიც იქნება.

პანდემიის პერიოდმა, როცა ონლაინგაკვეთილები აღმოჩნდა აუცილებელი, კიდევ უფრო თვალნათელი გახადა ელექტრონული რესურსის აუცილებლობა. ვიზუალური მასალა პირდაპირ დაუკავშირდა გაკვეთილის ხარისხს და ეს პერიოდი აღმოჩნდა ინსპირაცია პედაგოგებისთვის, რომ პანდემიის შემდეგ საკლასო ოთახში გაგრძელებული გაკვეთილები გაეჯერებინათ ელექტრონული რესურსებით. ამ საკითხზე მსჯელობას საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე გავაგრძელებ. რა თქმა უნდა, ყველა საგანს თავისი სპეციფიკა აქვს, ამიტომ, მე, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ამ საგნის სწავლებისას მიღებული გამოცდილებით ვიმსჯელებ: მოთხრობების, იგავ-არაკების და სხვა ლიტერატურული ნაწარმოებების შესწავლა, მისი გააზრება და ანალიზი საკმაოდ გრძელი გზაა, მით უმეტეს, თუ დიდი მოცულობის ნაწარმოებზეა საუბარი. ამ გზის პირველი ნაბიჯია ტექსტის კარგი შესწავლა და ეს მხარე გაცილებით გამარტივდა მათი ვიზუალურ სანახაობად (ანიმაციებად, კომიქსებად) ქცევის შემდეგ. მოსწავლეებს აღმოაჩნდათ უნარი, შეექმნათ ნახატები და შემდგომ აეწყოთ ანიმაციები, ასევე, სხვადასხვა პროგრამით შეექმნათ ლიტერატურული ნაწარმოებების ანიმაციები (მაგალითად https://www.renderforest.com).

გრამატიკული შეცდომებისთვის შექმნეს ვიდეორგოლები და ატვირთეს სხვადასხვა პლატფორმაზე.

ელექტრონული პოსტერებით შექმნილმა ინფორმაციებმა, რომლებსაც იქვე ახლდა ელექტროკითხვარი, მარტივად აღსაქმელი გახადა გაკვეთილის თემა (https://readymag.com). უნდა აღინიშნოს პოდკასტების სერიაც, მწერალთა ბიოგრაფიები - შესწავლისა და წიგნების მიმოხილვების გასაცნობად. (https://www.facebook.com/watch/?v=389763447018376&rdid=ttEsd19Gnh3T1eY4).

ალბათ დაიბადება კითხვები: სად და რა გზით შეუძლია მასწავლებელს ზემოთ აღნიშნული რესურსების შექმნა და საგაკვეთილო პროცესში დანერგვა? ტექნოლოგიების რა დონის ფლობაა საჭირო ამ მოცემულობისათვის? გარდა იმისა, რომ ნებისმიერ პროგრამას აბსოლუტური სიზუსტით გვასწავლის Youtube არხი, მოსწავლეები შესანიშნავი მასწავლებლები აღმოჩენილან ამ კუთხით და სიამოვნებით გიზიარებენ ტექნოლოგიურ სიახლეებს. რა სიკეთე ახლავს ამ ტიპის გაკვეთილს? მოსწავლეები ავლენენ ისეთ უნარებს, როგორიც ვერ გამოვლინდებოდა სტანდარტული ტიპის გაკვეთილებზე, მულტიმოდალური გაკვეთილი მოსწავლეს არ უტოვებს „სიჩუმის", უმოქმედობის საშუალებას, ამავდროულად, შემოქმედებითი და საინტერესო ხდება გაკვეთილი, მოსწავლე კი - კიდევ უფრო აქტიური.

მასწავლებელი
ლალი თავართქილაძე

Ⓡ

# ბათუმმა მნიშვნელოვან საჭადრაკო ტურნირს უმასპინძლა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***22 ივნისიდან 3 ივლისამდე ბათუმი მსოფლიო თასს ჭადრაკში 8-12 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის მასპინძლობდა. ღონისძიება საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე), საქართველოსა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციების ორგანიზებით ჩატარდა***




მისი ფინანსური მხარდამჭერები საქართველოს კულტურისა და სპორტის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროები და სპორტის დეპარტამენტი იყვნენ, მხარდამჭერები - ბათუმის მერია, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

ასპარეზობაში 40-მდე ქვეყნის 300-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. დახურვის ცერემონიას ფიდეს სპეციალურ დავალებათა დირექტორი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი აკაკი იაშვილი, ევროპის საჭადრაკო კავშირის (ECU) პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიოს ექსჩემპიონი სუზან პოლგარი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირმა ნიჟარაძე, მოადგილე ირაკლი აბულაძე, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, ბათუმის მერიის სპორტის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ქრისტინე ძიძიგური, ფიდეს მსოფლიო თასის სააპელაციო კომისიის ხელმძღვანელი ოზგურ სოლაკოღლუ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში დავიდ გურგენიძე, საერთაშორისო დიდოსტატი გენადი ნესისი და სხვა საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ.

დახურვის საზეიმო ცერემონია საქართველოს ეროვნული ჰიმნითა და ქართული ცეკვით გაიხსნა. აკაკი იაშვილმა მსოფლიო ჩემპიონატის მხარდამჭერებს მადლობის სიგელები გადასცა.

მოწვეულმა სტუმრებმა ყველა კატეგორიაში გამარჯვებული სამეული დააჯილდოვეს.

დახურვის ცერემონიის შემდეგ რამდენიმე კომენტარი ჩავიწერეთ:

**არჩილ ჩიქოვანი:**

- ბოლო წლებში აჭარა, ბათუმი ძალიან მნიშვნელოვან საჭადრაკო ტურნირებს მასპინძლობს - დაწყებული ოლიმპიადით და დამთავრებული სხვადასხვა ასაკობრივი პირველობით. არც წლევანდელი იყო გამონაკლისი. ამ ტურნირში მონაწილეობის შესაძლებლობა არაერთ ქართველ სპორტსმენს მიეცა. ღონისძიებამ უმაღლეს დონეზე ჩაიარა. მალე ახალ პროექტს განვახორციელებთ. ეს არის ახალი ჭადრაკის სასახლის მშენებლობა, რომელიც ჩვენი ქალაქის მშვენება იქნება თავისი არქიტექტურითაც.

**აკაკი იაშვილი:**

- საორგანიზაციო თვალსაზრისით, ღონისძიება ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა, ყველა სტანდარტის დაკმაყოფილებით, თანამედროვე ტექნოლოგიებით - ყველა პარტია ლაივში გადაიცემოდა. რაც შეეხება ჩვენს სპორტულ შედეგებს, ჭადრაკის სპორტული ფედერაცია არ არის კმაყოფილი - არცერთი ბავშვი საპრიზო ადგილზე არ გასულა. ვფიქრობ, დროა, დავიწყოთ რადიკალური ცვლილებები. ბათუმში გაისად მნიშვნელოვანი ტურნირებია დაგეგმილი - მსოფლიო თასი ქალებს შორის, ევროპის გუნდური ჩემპიონატი და მსოფლიო თასი ბავშვებს შორის. ფედერაცია ყველაფერს აკეთებს, რომ გამოზარდოს წარმატებული მოჭადრაკეები, რომლებიც ქვეყანას ასახელებენ.

**ფარიდ აბასოვი, აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელი:**

- 14 მოჭადრაკე ჩამოვიყვანეთ. ადრე ყოველთვის მედლით მივდიოდით და სამწუხაროა, რომ წელს ეს ვერ შევძელით. აკაკი იაშვილმა თავის გუნდთან ერთად ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა ტურნირი. იდეალური თამაშისთვის იდეალური პირობები იყო შექმნილი. ეს ტურნირი პირველად ჩატარდა, მაგრამ მჯერა, რომ მას ექნება გაგრძელება და ტრადიციული გახდება.

**ზურაბ აზმაიფარაშვილი:**

- ბათუმში არაერთი ღონისძიება გვაქვს გამართული და მისი პიკი ოლიმპიადა იყო. ახალი ტურნირების ჩატარება ყოველთვის ძნელია, მაგრამ ეს ფიდეს მსოფლიო თასია, რომელიც აკაკი იაშვილის ინიციატივით დააწესა ფიდემ პირველად მსოფლიოში. პირველი ყველაფერი ძნელია, მაგრამ მიუხედავად ამ სიძნელეებისა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი საუკეთესოდ გაკეთდა. საორგანიზაციო თვალსაზრისით, ანალოგს ვერ მოვუძებნი. ბათუმმა კიდევ ერთხელ ასწია თამასა და გვახარებს ახალი წარმატებებით. მომავალ წელს მსოფლიო თასი ქალებში ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია და დარწმუნებული ვარ, რომ იგი, ორგანიზების თვალსაზრისით, ახალ ეტაპზე გაგვიყვანს.

**ნონა გაფრინდაშვილი:**

- ამ რამდენიმე წლის წინ საოცრად ორგანიზებული ოლიმპიადა ჩატარდა, წელს - მსოფლიო თასი ბავშვებისთვის. მისი ინიციატორი აკაკი იაშვილი გახლავთ და სასიხარულოა, რომ მას ფიდემ მხარი დაუჭირა (წელს ფიდე 100 წლის იუბილეს აღნიშნავს). მინდა წარმატებები ვუსურვო ამ ქალაქს, სადაც ტურნირების ჩატარებით განებივრებულები ვართ, გარდა ამისა, ვიცი, რომ კარგი ჭადრაკის სასახლე შენდება, რაც ჭადრაკის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. წარმატებას ვუსურვებ ყველა სპორტსმენს. მთავარია, იყოს მშვიდობა. დღევანდელ ახალგაზრდებს აქვთ ყველაფერი, რომ განვითარდნენ და წარმატებებს მიაღწიონ. მათთვის ძალიან ბევრი და საინტერესო ტურნირი იმართება, რომელსაც არა მხოლოდ გამარჯვებულები, არამედ დამარცხებულებიც ჰყავს. თუ დამარცხებულები კარგად გააანალიზებენ თავიანთ პარტიებს, შესაძლოა შემდგომ დიდ წარმატებასაც მიაღწიონ.





# აჩიკო ბოლქვაძე ევროპის ჩემპიონია



ბერძნულ-რომაულ მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები აგრძელებს წარმატებულ გამოსვლას სერბულ ნოვი სადში, თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში.

2 ივლისს იქ პირველი ფინალური დღე იყო და სამი ქართველიდან ორი ევროპის ჩემპიონი გახდა: ბათუმელი აჩიკო ბოლქვაძე (87 კგ, ვისთვისაც ეს ზედიზედ მე-5 ოქროა კონტინენტის პირველობაზე) და საბა ჩილაშვილი (130 კგ), ანრი ხოზრევანიძე (63 კგ) კი ვერცხლს დასჯერდა. წარმატებით გამოვიდა ფინალურ ბლოკში ჩვენი მეოთხე მონაწილე თორნიკე მიქელაძე (77 კგ), რომელიც მესამე ადგილზე გავიდა. ამდენად, ჩვენი ნაკრების ანგარიშზე უკვე ოთხი მედალია: ორი ოქრო და თითო-თითო - ვერცხლი და ბრინჯაო. ტურნირი გრძელდება.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ფატი ჭაღალიძეს მეუღლის

**თემურ ბოლქვაძის**

გარდაცვალების გამო.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ფატი ჭაღალიძეს მეუღლის

**თემურ ბოლქვაძის**

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2[ა]
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 4/07/24, 18 [05] სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „კაცია-ადამიანი?!“ - პრემიერა ბათუმის დრამატულ თეატრში შედგა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 145-ე თეატრალური სეზონის რიგით მე-10 პრემიერა გაიმართა. „კაცია-ადამიანი?!“ რეჟისორმა გაგა გოშაძემ ილია ჭავჭავაძის იგივე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგა, სადაც სარკაზმით იყო გადმოცემული ქართული ოჯახის ტრაგიკომედიური სურათი, რითაც რეჟისორი მწერლის ხაზს მიჰყვება და პარაზიტებად ქცეულ ცოლ-ქმარს საზოგადოებისთვის უსარგებლოდ მიიჩნევს*

სპექტაკლის ბოლოს ლუარსაბი თავად ამოგლეჯს სცენაზე მდგარი ქოთნიდან გამხმარ მცენარეს, რითაც თეატრის ენაზე კიდევ ერთხელ გვითხრეს, რომ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებისთვის არაფერს აკეთებენ და მხოლოდ ამქვეყნიურ განცხრომაზე ფიქრობენ, უნაყოფონი არიან და ისინი სიცოცხლეშივე მკვდრებად იქცევიან. სასცენო დეკორაციის ერთი ნაწილი, სადაც მახინჯი თოჯინები ადამიანების გვამებს ჰგვანან, სწორედ ზემოთ თქმულის გამოხატულებაა.



მხატვარი - გოგლა გოგიბერიძე, ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე, კომპოზიტორი - მიხეილ მდინარაძე, რეჟისორის თანაშემწე კი თეონა ლორთქიფანიძე ზედმიწევნით ეცადნენ, რეჟისორის ჩანაფიქრი ჩვენამდე მოეტანათ.

მსახიობებმა ტიტე კომახიძემ, თორნიკე ბარამიძემ, ეკატერინე ჩავლეიშვილმა, ზაზა ზოიძემ, ნანა კიკვაძემ, ქეთი ეგუტიძემ, ინგა ღირდალაძემ, ლაშა კონცელიძემ, თეონა შამილაძემ და დავით წერეთელმა საინტერესოდ გააცოცხლეს ილია ჭავჭავაძისეული პერსონაჟები. პრემიერამ ანშლაგით ჩაიარა.

- ვფიქრობ ოდნავ განსხვავებული ვერსია შევთავაზეთ მაყურებელს. ჩვენ უფრო ამ ორი ადამიანის ტრაგედია გვინდოდა წარმოგვეჩინა - თუ რამ მიიყვანა ისინი აქამდე. მგონი, მაყურებელმა კარგად მიიღო სპექტაკლი. რაც მთავარია, ჩვენ არ დაგვიკლია არც შრომა, არც ენერგია და მაქსიმალურად ვეცადეთ, ყველაფერი კარგად გამოსულიყო, - გვითხრა მსახიობმა ტიტე კომახიძემ.

- ცოტა უკმაყოფილო ვიყავი პრემიერის დღემდე, თითქოს რაღაც მაკლდა, სცენებში რაღაც დეტალების ჩასწორება მინდოდა... თუმცა მინდა მთელ სამსახიობო ჯგუფს, განსაკუთრებით კი ტიტეს და ეკას დიდი მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ რისი დანაკლისიც მქონდა და რისიც მეშინოდა, იმპროვიზაციებით შეავსეს. ისე გაალამაზეს სცენები, რომ სპექტაკლი იმაზე უკეთესი გამოვიდა, ვიდრე ველოდი, - გვითხრა რეჟისორმა გაგა გოშაძემ.

# ქართველ მხატვართა ნამუშევრები - ფერეიდნელებისთვის

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ბათუმის ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლის გალერეაში სამ დღეს იყო გამოფენილი საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მხატვართა ნამუშევრები. ექსპოზიცია სახელწოდებით „საქართველოს ცის ქვეშ“ საქველმოქმედო გახლდათ და ფერეიდნელ ქართველებს მიეძღვნა*

წარმოდგენილი იყო 80-ზე მეტი ქართველი მხატვრის მიერ წელს შესრულებული კომპოზიციები. აღნიშნული საქველმოქმედო ექსპოზიცია მთლიანად ფერეიდანში გადაიგზავნება, კერძოდ - ქალაქ მარტყოფის მუზეუმში.

- სასიხარულოა, რომ ასეთი სახის გამოფენა მოეწყო და ნამუშევრები ფერეიდანში იგზავნება. საერთოდ, მე ფერებით „ვიკვებები“. ხანდახან ნახატი იმაზე მეტს მეუბნება, ვიდრე თავად მხატვარი. ხელოვანი ნახატში საკუთარ თავს ამჟღავნებს, ისევე, როგორც მე ჩემს თავს - ლექსებში. სადაც ეს ნახატები ჩავა, იქ ჩვენი მესიჯიც მივა - ჩვენი გული, მაჯისცემა, სიყვარული... ვფიქრობ, ეს არის არაჩვეულებრივი პროექტი, რადგან იმოგზაურებს დროში, სივრცეში, ეპოქაში... არაფერი უდგას სიყვარულს წინ, ეს ნახატები სიყვარულითაა შექმნილი და ამას აუცილებლად იგრძნობენ ფერეიდნელები, - აღნიშნა პოეტმა ბელა ქებურიამ.

- ასეთივე გამოფენის მოწყობას თურქეთის სოფელ ინეგოლშიც ვაპირებთ, რათა იქაურმა ჩვენებურებმაც იგრძნონ სამშობლოს გულისცემა. ეს პირველი იქნება თურქეთის ისტორიაში, როცა ქვეყნის ერთ-ერთ სოფელში ქართველი მხატვრების 100 ნამუშევარი გამოიფინება, - გვითხრა ჩვენებურმა თურქეთიდან თემურ ქათამაძემ.

- ფერეიდანში ყოფნის შემდეგ სულ ვამბობ, რომ საქართველოს ცის კაბადონზე უზარმაზარი კითხვის ნიშანი ჰკიდია - რა გველოდება ხვალ? რას ვითხოვთ მსოფლიოსგან ან რას ვაძლევთ მას? ჩახვალ ფერეიდანში და... პასუხი გაცემულია. 400 წელია, რაც ფერეიდანში ქართველები ცხოვრობენ და ამ ხნის განმავლობაში იქ ქართველს ქართველი არ მოუკლავს. ზღვის დონიდან 2500 მეტრზე ვაზი ვერ ხარობს, მაგრამ.... ფერეიდნელი ახარებს ვაზს და ზამთარში მიწაში მარხავს, რომ არ მოიყინოს. მათთვის ყველაზე დასაცინი სიტყვა არის პროკურატურა, პოლიცია, რადგან იქ, ფაქტობრივად, დანაშაული არ ხდება, იქ ბალიშზე თავს დადებ და... ბალიში ქართული ასოებითაა შემკული, მაგიდაზე გადაფარებულია ქართულორნამენტებიანი სუფრა. იქ ნებისმიერი ასაკის ადამიანი დადის სკოლაში და სწავლობს ქართულ ენას. თორმეტ ქართულ სოფელში ვიყავი. ძნელია იქ ცხოვრება, ხეც კი არ ხარობს... იცით, ამ რამდენიმე ხნის წინ, თავსაბურავის გადახდის გამო, ახალგაზრდა გოგონას როგორ მოექცნენ. ეს არის ქვეყანა, სადაც ფეისბუქი აკრძალულია, ბევრი რამაა აკრძალული, მაგრამ იქ ყველაზე დიდი ქართველები ცხოვრობენ. ასეთი ნამუშევრები მათთვის დიდი საჩუქარი იქნება, - აღნიშნა მწერალმა ნიაზ ზოსიძემ.



დამთვალიერებელს სამი დღის განმავლობაში ჰქონდა საინტერესო გამოფენის ნახვის შესაძლებლობა. ამგვარი საქველმოქმედო გამოფენა ორგანიზატორებმა ხარაგაულსა და ჩოხატაურში მოაწყვეს და რამდენიმე ათეული ნამუშევარი იქ დარჩა.

- ჩვენი მიზანია, ნამუშევრები ადგილზე გამოიფინოს და რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა, როგორც ასაკოვანმა, ისე ახალგაზრდამ ნახოს. რაც შეეხება დღევანდელ გამოფენას, ეს ნამუშევრები საქართველოს ყველა კუთხიდანაა წარმოდგენილი. გამოფენა თბილისში, საქართველოს ეროვნული ფოლკლორის ცენტრში, ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს გაიხსნა. მის სანახავად სპეციალურად ჩამოვიდნენ ფერეიდნელი ქართველები, დაახლოებით 30 კაცი. იყო სიხარულის ცრემლები, სითბო და სიყვარული, - გვითხრა პროექტის ხელმძღვანელმა, ლევან ცუცქირიძის სახელობის ხელოვნების ფონდის ხელმძღვანელმა, მხატვარმა, მოქანდაკე მამუკა ცუცქირიძემ.

# რაგბის ფესტივალი - ხულოში

თამაზ მგზავრიძე 27 48 93

*ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით, ხულოში რაგბის ფესტივალი ჩატარდა. მასში აჭარის რეგიონიდან 10 გუნდი მონაწილეობდა, რომელიც 2013-2014 წლებში დაბადებული სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული*

სპორტული ღონისძიება რაგბის კვირეულის ფარგლებში, საქართველო-ფიჯის ნაკრები გუნდების სატესტო შეხვედრის ფარგლებში მოეწყო, რომლის მიზანი მოზარდებში რაგბის პოპულარიზაცია და ხელშეწყობაა.

რაგბის პირველ საზაფხულო ფესტივალს ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, აჭარის რაგბის კავშირის ხელმძღვანელი ილია ვერძაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე და საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



# „წითელქუდა“ - მალე ბათუმის თოჯინების თეატრში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*24 ივლისს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის 87-ე სეზონზე რიგით მე-5 სპექტაკლის - „წითელქუდას“ (შარლ პეროს ზღაპრის მიხედვით) პრემიერა გაიმართება*




რეჟისორი და ინსცენირების ავტორი მაია ჩართოლანია. ბათუმის თოჯინების თეატრთან ეს მისი პირველი თანამშრომლობაა, სპექტაკლში გამოყენებული სიმღერების ტექსტის ავტორიც თავადვეა. მხატვარი მარინე ფრანგიშვილია, ქორეოგრაფი - თამარ ბერიძე, მუსიკალური გაფორმება ირმა გოგელიას ეკუთვნის. რეჟისორის თანაშემწეები თეონა ლორთქიფანიძე და ირაკლი იორამაშვილი არიან. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები სალომე დოლიძე, მამუკა მანჯგალაძე, მერი ნაკაშიძე, მანანა გოგიტიძე, ირმა მგელაძე, მარიკა ბულეიშვილი, ქეთევან სამხარაძე, თედო ტუღუში, გიორგი არველაძე და ანრი ჩაგუნავა.

ყველასათვის საყვარელი ზღაპარი „წითელქუდა“ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სცენაზე ახალი ინტერპრეტაციით გათამაშდება. დათვ დათიკოს დაბადების დღეზე შეკრებილი მეგობრები ტყეში მგლის დაბრუნების შესახებ შეიტყობენ. მათთვის მალევე გახდება ცნობილი მგლის გეგმა, რომელიც მელაკუდასთან ერთად მოქმედებს. მეგობრები წითელქუდას დასახმარებლად გაერთიანდებიან. სწორედ აქედან იწყება დიდი თავგადასავალი. ბაჭია, თუთიყუში თუთიკო, კაჭკაჭი, გუგული, ასევე - მონადირე თავგანწირვით იცავენ მგლისგან წითელქუდას. ყველაფერი კი, როგორც ყველა ზღაპარში, კეთილად მთავრდება. მსახიობების ოსტატობა, მოვლენათა დინამიკური ცვალებადობა, თანამედროვე კოსტიუმები და ჯაზის მელოდია სცენაზე დაუვიწყარ წარმოდგენას ქმნის და მაყურებელი ჯადოსნურ სამყაროში იმოგზაურებს. სპექტაკლი დაგვაფიქრებს ისეთ აქტუალურ და მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა სიყვარული, მეგობრობა, თავგანწირვა, მიზანდასახულობა, გონიერება, მოხერხებულობა.

პრემიერის შემდგომ ჩვენებებზე დასასწრები ბილეთის შეძენა მაყურებელს როგორც თეატრის სალაროში, ისე ონლაინ 5 ივლისიდან შეეძლება.